საქართველოს ისტორია

დაბრუნება მსოფლიო რუკაზე

საქართველოს ისტორია
დაბრუნება მსოფლიო რუკაზე

დიმიტრი შველიძე

სამეცნიერო რედაქტორი ზაზა აბაშიძე
რედაქტორი რუსუდან გორგაძე
ილუსტრატორი ნანა მელქაძე
რუკების ილუსტრატორი გიორგი მაღრაძე
დიზაინერები: მართა თაბუკაშვილი, გიორგი მაღრაძე
ტექნიკური დიზაინერი ლადო ლომსაძე

© „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2016

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლობის ნებართვის გარეშე.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელეფონი: 291 11 65, 291 06 54
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-534-4
კრებულის ISBN 978-9941-23-701-0

History of Georgia
BACK ON THE WORLD MAP

Dimitri Shvelidze

First published by Sulakauri Publishing in 2016
Copyright by © Sulakauri Publishing, 2016
All rights recerved.

www.sulakauri.ge

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი შველიძე

საქართველოს ისტორია

დაბრუნება მსოფლიო რუკაზე

სამეცნიერო რედაქტორი
ზაზა აბაშიძე

სარჩევი

რთული გზის დასაწყისი 6
„ბოროტების იმპერიის“ დასასრული 8
გამწარებული წლები 10
კრიმინარქია 12
ნგრევა და ქაოსი 14
საკანონმდებლო საფუძველი 16
შემობრუნება დასავლეთისაკენ 18
მუდმივი რევოლუციების ქვეყანა 20
აჩქარების სტრატეგია 22
„ქართული ეკონომიკის სასწაული“ 24
კორუფციის გამოწვევა 26
განათლების სისტემა – ხელისუფლების თავსატეხი 28
საბჭოთა გადმონაშთი 30
დასავლური არჩევანი 32
კრემლის სტრატეგია 34
რამდენი ვიყავით და ვართ? 36
ქართული ეკლესია 38
დემოკრატიული საქართველო 40
სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება 42
ევროკავშირის იდეა 44
ღირებულებების კონფლიქტი? 46
თავისუფალი ხელოვნება 48
გამოღვიძება 50
ქართული მწერლობა 52
ერთხელ ამერიკაში 54
დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები 56
საიდან? ვინ? საით? 58
ლექსიკონი 62
საძიებელი 63

დამოუკიდებელი საქართველო

1992 წლის 31 ივლისს საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების 179-ე წევრი-სახელმწიფო გახდა. იგი სუვერენულ ქვეყანათა მსოფლიო თანამეგობრობის დიდ ოჯახში შევიდა.

მიუხედავად ამისა, ქვეყნის დამოუკიდებლობასა და მშვიდობიან განვითარებას წინ გადაეღობა ყოფილი იმპერია თავისი უზარმაზარი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსებით. ჩვენი ქვეყანა ამ გარემოებამ მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა და დღესაც ამგვარ რეალობაში უწევს არსებობა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

რთული გზის დასაწყისი

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებიდან მალევე ზვიად გამსახურდია ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს. თავიდან მოვლენები მშვიდად ვითარდებოდა. საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტიც კი მზადდებოდა აშშ-ში.

მალე გაირკვა, რომ ეს მხოლოდ მოკლევადიანი გამოდარება იყო ქარიშხლის წინ. სწორედ იმ პერიოდში ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. საბოლოოდ, მათი შეთანხმების საფუძველზე, ამერიკას არ უნდა დაეჭირა მხარი „ურჩი“ რესპუბლიკებისათვის.

გორბაჩოვი ცდილობდა განახლებული ფედერაციული სახელმწიფოს შექმნას, რომელშიც საბჭოთა რესპუბლიკები უნდა გაერთიანებულიყვნენ. საქართველო კი სწორედ იმ „ურჩ“ რესპუბლიკათა შორის იყო, რომლებიც ახალ ფედერაციაში გაერთიანებას არ აპირებდნენ.

ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების დევიზი იყო „ენა, მამული, სარწმუნოება“.

დინების საწინააღმდეგოდ

მალე საქართველოს ხელისუფლებას აშშ-სთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსმა) ტელეკომპანია სი-ენ-ენი-სათვის მიცემულ ინტერვიუში ღიად გააკრიტიკა საქართველოს პრეზიდენტი:

„ამ კაცმა ცოტათი მაინც უნდა დაამუშაოს საკუთარი განცხადებები. ის მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ. არადა, უნდა მიჰყვეს დინებას და გაიგოს, რა ხდება მსოფლიოში“.

სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ ბუშის სიტყვები გაეანალიზებინათ საქართველოში, ოფიციალურმა წრეებმა და მედიამ ამერიკის კრიტიკა დაიწყო.

იზოლაციაში

ეროვნულ ხელისუფლებას ერთბაშად გაურთულდა მდგომარეობა ქვეყანაშიც და ქვეყნის გარეთაც. გამსახურდიას საკუთარმა თავდაცვის მინისტრმა, თენგიზ კიტოვანმა გამოუცხადა დაუმორჩილებლობა და ამბოხებული ეროვნული გვარდიის ნაწილებით რკონის ხეობაში გამაგრდა. მალე ეროვნული გვარდიის ნაწილები თბილისის ზღვის ტერიტორიაზე განლაგდნენ. ამბოხებული კიტოვანის გარშემო თავი მოიყარა მთელმა ანტიზვიადისტურმა ოპოზიციამ – განაწყენებულმა პარტიებმა, ელიტურმა ინტელიგენციამ, ყოფილი კომუნისტური ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის ჯგუფებმა. მათ უერთდებოდა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილიც, რომელსაც აშინებდა რუსეთის პირისპირ დარჩენილი და იზოლირებული საქართველოს მძიმე მომავალი და ამ ქვეყანასთან ისევ ურთიერთობის მოგვარება ერჩივნა.

თენგიზ კიტოვანსა და ეროვნული გვარდიის ნაწილებს იარაღით ამიერკავკასიის რუსული ჯარის შტაბი ამარაგებდა.

რა არის „მეხუთე კოლონა“?

გამონათქვამი „მეხუთე კოლონა“ ესპანეთში დაიბადა. 1936 წელს ესპანელი ნაციონალისტების არმია უტევდა მადრიდს, რომელშიც რესპუბლიკური მთავრობა იყო გამაგრებული. არმიას გენერალი ემილიო მოლა მეთაურობდა. სწორედ მან თქვა ისტორიული სიტყვები:

– ჩემი არმია ოთხ კოლონადაა დაყოფილი და მადრიდს უახლოვდება. საჭირო მომენტში მოქმედებას დაიწყებს მეხუთე კოლონა, რომელიც მადრიდში საიდუმლოდ გვიჭერს მხარს.

ამის შემდეგ, „მეხუთე კოლონა“ გახდა სიმბოლური გამონათქვამი, რომელიც აღნიშნავს ქვეყნის შიგნით მტრის მხარეს მოქმედ ძალებს. ეს სიტყვები შეეძლო გაემეორებინა კიტოვანსაც, რომელიც რკონის ხეობიდან თბილისის ზღვისაკენ ამბოხებული ეროვნული გვარდიის ნაწილებთან ერთად მოემართებოდა კანონიერი ხელისუფლების დასამხობად.

ბელოვეჟისა და ალმა-ატის ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირი დაიშალა.

„ბოროტების იმპერიის“ დასასრული

1991 წლის 8 დეკემბერს ბელორუსიაში, ბელოვეჟის ტევრში შეიკრიბნენ რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიისა და უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მეთაურები. მათ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახალი გაერთიანების – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ე.წ. დსთ-ს შექმნის შესახებ.

დსთ-ში შევიდა 11 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. მათ შორის არ იყო ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა და საქართველო. თუმცა, საქართველოს ამ ყველაფრისთვის არც სცხელოდა, რადგან შიდა გადატრიალებამ ქვეყანაში მდგომარეობა თავდაყირა დააყენა.

შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების ქრონიკა

21 დეკემბერი – საღამოს ტყვიამფრქვევებითა და ნაღმტყორცნებით შეიარაღებულმა ეროვნული გვარდიის 40-კაციანმა რაზმმა უზენაესი საბჭოს სასახლის გარშემო შენობები დაიკავა. მალე ეროვნული გვარდიის ძირითადი შემადგენლობაც ჩამოვიდა თბილისის ზღვიდან და მძიმე სამხედრო ტექნიკა რუსთაველის გამზირზე განალაგა. ქაშვეთის ეკლესიასთან დადგეს ჰაუბიცა და მთავრობის სასახლეს სროლა დაუწყეს. საპასუხო სროლა ატეხეს სასახლეში თავშეფარებულმა ხელისუფლების მომხრე ძალებმაც.
ასე დაიწყო საქართველოს ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო, შემზარავი და დანაშაულებრივი „თბილისის ომი“.

23 დეკემბერი – ამბოხებულებმა გამსახურდიას ბათუმში წასვლა შესთავაზეს. გამსახურდია თითქოს ჯერ დათანხმდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. პირველი დღის სროლის შემდეგ დაიწვა რუსთაველის გამზირზე მდებარე პირველი სკოლისა და მხატვრის სახლის შენობები. ამის შემდეგ ბრძოლა ორი კვირის განმავლობაში ყოველდღე მიმდინარეობდა.

25 დეკემბერი — გამსახურდიამ სი-ენ-ენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამბოხებულთა მოთხოვნებს არ დათანხმდებოდა. ქალაქში ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგები იმართებოდა, მაგრამ მათ უკვე არაფრის შეცვლა აღარ შეეძლოთ.

27 დეკემბერი — მთავრობის სასახლეში შეხიზნულმა ხელისუფლებამ ამბოხებულებს სატელევიზიო ანძა ჩააბარა და ამით მოსახლეობასთან კომუნიკაციის საშუალება დაკარგა. იმავე დღეს ამბოხებულებმა ციხიდან გაათავისუფლეს გამსახურდიას მოწინააღმდეგეები, რომლებიც დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ამბოხებულებს.

28-29 დეკემბერი — მთავრობის ძალებმა ამბოხებულებს შეუტიეს და დღვანდელი კავშირგაბმულობის შენობამდე გადარეკეს. იმ ღამეს ამბოხებულთა შეშინებულ ლიდერებს, გადმოცემით, ამიერკავკასიის რუსული ჯარების შტაბში ეძინათ. ირწმუნებიან, რომ ხელისუფლების დამცველთა რაოდენობა ბევრად სჭარბობდა ამბოხებულებისას, მაგრამ გამსახურდიამ შეტევის ბრძანება მოსალოდნელი დიდი მსხვერპლის გამო არ გასცა.

1992 წლის 2 იანვარი — საქართველოს მოსახლეობისადმი გამოქვეყნებულ „მიმართვაში" ნათქვამი იყო, რომ გამსახურდიას „დიქტატორული რეჟიმი დამხობილია" და ძალაუფლება ხელში ე.წ. სამხედრო საბჭომ აიღო. მიმართვას ხელს აწერდნენ თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი. მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დასახელდა თენგიზ სიგუა.

6 იანვარი — ზვიად გამსახურდიამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეტოვებინა მთავრობის სასახლე და ქვეყანა. დევნილმა ხელისუფლებამ ჯერ სომხეთს შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთში გადავიდა.

გამწარებული წლები

1992-95 წლებში ცხოვრება აუტანელი გახდა უბრალო მოსახლეობისთვის. იმატა სისხლის სამართლის დანაშაულმა. ქურდებსა და ყაჩაღებს პასუხს არავინ სთხოვდა, ისინიც ისე გათამამდნენ, პირდაპირ ქუჩაში აყაჩაღებდნენ ხალხს.

ერთმა დეპუტატმა თქვა: ნებისმიერი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ასეა და საქართველოშიც ასე იქნება: მას მოჰყვება რამდენიმე ათეული წელი დუხჭირი, გამწარებული ცხოვრებაო. და მართლაც, ქვეყანას მას შემდეგ ცოტა რამ თუ უნახავს საიმედო.

განსაკუთრებით მძიმე იყო 1992-1995 წლები. საქართველოს მოსახლეობა, ქვეყნის ყოფა-ცხოვრების ყველა სფერო საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. გადატრიალებას უშუალოდ მოჰყვა სამოქალაქო ომი, სისხლისღვრა, ეკონომიკური გაპარტახება, ისტორიული ტერიტორიების დაკარგვა და საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი დაცემა.

სამხედრო საბჭო მოქმედებს

სიტუაციის გამოსწორების პრეტენზია არ შეიძლება ჰქონოდა სამხედრო საბჭოს, რომლის შემადგენლობა სახელმწიფოებრივი აზროვნებისაგან შორს იდგა.

სამხედრო საბჭო პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ანუ როგორც მათ უწოდებდნენ – ზვიადისტებს, ფიზიკურად უსწორდებოდა. მხედრიონელები და გვარდიელები არბევდნენ გამსახურდიას მომხრეთა მანიფესტაციებს, სახლებში უვარდებოდნენ ეროვნული ხელისუფლების აქტივისტებს, სცემდნენ ან ძარცვავდნენ მათ. მილიცია და სამართალდამცავი სამსახურები ქვეყანაში თითქმის არ ფუნქციონირებდა.

თბილისის ქუჩებში ტანკებითა და ავტომატით ხელში სიარული ჩვეულებრივი ამბავი იყო.

შევარდნაძეს საშველად უხმობენ

საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, ედუარდ შევარდნაძეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ევროპაში. ქართული საზოგადოების ელიტურ წრეებს მიაჩნდათ, რომ საერთაშორისო კავშირები შევარდნაძეს საშუალებას მისცემდა, ქვეყანა კრიზისიდან გამოეყვანა. ამიტომაც მას საქართველოში ჩამოსვლა სთხოვეს.

ექსმინისტრი მოწვევას დათანხმდა და 1992 წლის მარტში საქართველოში დაბრუნდა.

სავალალო შედეგები

მათ, ვისაც ეგონა, რომ შევარდნაძე საქართველოს უშველიდა, ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს: რუსეთში მიაჩნდათ, რომ გორბაჩოვმა და შევარდნაძემ იმპერია დაანგრიეს და ამიტომ არცერთი არ უყვარდათ. სწორედ შევარდნაძის მმართველობის პირველ წლებში საქართველო უფსკრულის პირას აღმოჩნდა, რასაც აფხაზეთის კონფლიქტი მოჰყვა.

აფხაზეთის ომი 13 თვეს გრძელდებოდა. სახლებიდან გამოქცეული ქართველები ჭუბერის უღელტეხილზე რამდენიმე კვირის განმავლობაში მოდიოდნენ, სადაც თოვლსა და ყინვაში არაერთი ადამიანი დაიღუპა. საკუთარ ქვეყანაში 250000-ზე მეტი კაცი ლტოლვილად იქცა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარა თავი.

აფხაზეთის ომი

ქვეყანაში გამეფებული ქაოსით ისარგებლეს სეპარატისტმა აფხაზებმა, საქართველოს მთავრობას განუდგნენ და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. რუსეთმაც არ დააყოვნა და ვითომდა მათ დასაცავად აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე მდინარე ენგურთან საკუთარი ჯარი ჩააყენა. ამას ძმათაშორისი ომი მოჰყვა, რომელიც საბოლოოდ „აფხაზეთის დაკარგვით" დასრულდა.
ამის შემდეგ საქართველომ კონტროლი დაკარგა ე.წ. „სამხრეთ ოსეთზეც". თითქმის იმავდროულად ატყდა სამოქალაქო ომი გამსახურდიასა და შევარდნაძის მომხრეებს შორის დასავლეთ საქართველოში. სიტუაცია ძალიან დაიძაბა. შევარდნაძემ ხელისუფლების შენარჩუნება მხოლოდ რუსული ჯარის დახმარებით შეძლო. ყოფილმა იმპერიამ კი ეს ყველაფერი არ აკმარა ქვეყანას და შევარდნაძე აიძულა, საქართველო დსთ-ში შეეყვანა.

სამხედრო საბჭოს წევრები — თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი ედუარდ შევარდნაძეს არ ეშორჩილებოდნენ და ქვეყნის მართვას საკუთარი სურვილისამებრ ცდილობდნენ.

კრიმინარქია

წარმოვიდგინოთ, რა ევალება ნორმალურ სახელმწიფოს: მან უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და დაიცვას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა; გაზარდოს ქვეყნის ფინანსური შემოსავლები და ბიუჯეტი, შექმნას ისეთი გარემო, რომ მოსახლეობის ნდობა და კეთილგანწყობა დაიმსახუროს.

როდესაც შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდა, არც ერთი ეს პირობა არ სრულდებოდა. საზოგადოებრივი წესრიგი მოშლილი იყო და ხალხს ქუჩაში გასვლისა ეშინოდა. იქ მილიციის მაგიერ შეიარაღებული დაჯგუფებები ბატონობდნენ. შეწყდა ფინანსური შემოსავლები. მოსახლეობის დიდ ნაწილს სძულდა იმჟამინდელი სახელმწიფოცა და მისი მმართველი სამხედრო საბჭოც.

მაშინდელ ხელისუფლებას შეიძლება კრიმინარქია – კრიმინალური ხელისუფლება ვუწოდოთ. მას თითქოს სურდა, ექსკომუნისტური ლიდერი და იმპერიის ექსმინისტრი შევარდნაძე მძევლად ექცია. „მხედრიონის“ მეთაური ჯაბა იოსელიანი დამცინავი ღიმილით ეკითხებოდა მას: „სადაა თქვენი მძიმე ხელი?“

თენგიზ სიგუა საქართველოს პრემიერ-მინისტრი იყო 1992 წლიდან.

უცნობი მხატვარი და „ცნობილი“ გენერალი

ირონიით ასე ეძახდნენ თავდაცვის მინისტრ კიტოვანს, რადგან იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და ერთ-ერთ სარეკლამო სააგენტოში მხატვრად მუშაობდა.

კიტოვანი თავიდანვე არ აღიარებდა შევარდნაძის ავტორიტეტს და არაფრად აგდებდა მის მითითებებს. მან კიდევ ერთი ავანტიურა ჩაიფიქრა – 1995 წელს 700 გვარდიელი

შეკრიბა და „აფხაზეთის დასაბრუნებლად“ გაეშურა ისე, რომ ხელისუფლებისთვის არაფერი უკითხავს. არადა, ამ დროს შევარდნაძე უკვე მომაგრებულად გრძნობდა თავს. ამიტომაც, მოულოდნელად კიტოვანი მილიციელებმა დააპატიმრეს, გვარდიელებმა კი წინააღმდეგობა ვერ გაბედეს. კიტოვანი უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისათვის გაასამართლეს და 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

თავდასხმა ქვეყნის მეთაურზე

1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს იმჟამინდელი პარლამენტის თავმჯდომარე შევარდნაძე პარლამენტის შენობიდან გამოვიდა და თანამგზავრთან ერთად მანქანაში ჩაჯდა. მანქანა ეზოს კარს გასცილდა და ის-ის იყო, შორიახლო მდგარ ნივის მარკის ავტომანქანას ჩაუარა, რომ ნივა აფეთქდა. ეს ტერორისტული აქტი იყო – ნივაში დამონტაჟებული ბომბი მოშორებით მდგარი სხვა ავტომანქანიდან პულტით ააფეთქეს.

მაგრამ ტერორისტებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. სახელმწიფოს მეთაურის მანქანამ რამდენიმე წამით გაასწრო აფეთქების ადგილს. შევარდნაძე და მისი თანამგზავრი სასწაულებრივად გადარჩნენ.

ტერორისტული აქტის შემდეგ დააპატიმრეს მხედრიონის მეთაური ჯაბა იოსელიანი. მას სამშობლოს ღალატში დასდეს ბრალი და 11 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მხედრიონი კი დაშალეს და აკრძალეს. შედეგად, საქართველოში კრიმინარქიის ხანა დასრულდა.

ედუარდ შევარდნაძის ესკორტს მოგვიანებით, 1998 წელსაც, უკვე მისი პრეზიდენტობის დროსაც მოუწყვეს ტერაქტი. შევარდნაძე სიკვდილს ამ ჯერზეც სასწაულით გადაურჩა. „ძალიან უნდათ, საქართველო აქციონ ტერორისტულ ქვეყნად და მაფიები გაბატონდნენ... ვერ მიიღებენ ამას, ვერ ეღირსებიან“, — თქვა მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა.

მოსახლეობა საკვებს მცირე დოზებით, ტალონების საშუალებით ყიდულობდა. ხალხს პურის საყიდლად რიგში დგომა ზოგჯერ საათობით უწევდა.

თვეები ისე გადიოდა, რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას ელექტროენერგია წუთითაც არ მიეწოდებოდა. სახლებს ნავთის ლამპებითა და სანთლებით ანათებდნენ.

ნგრევა და ქაოსი

ეკონომიკამ განვითარება ჯერ კიდევ „პერესტროიკისა“ და ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლებში შეაჩერა. თუმცა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები ინერციით ინარჩუნებდა სტაბილურობას. ეკონომიკის ნგრევა კი სახელმწიფო გადატრიალების დღეებიდან დაიწყო და სულ უფრო მასშტაბური ხდებოდა აფხაზეთის ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების წლებში. მიყოლებით გაჩერდა ფაბრიკა-ქარხნები, მუშები სამუშაოს გარეშე დარჩნენ, გამეფდა უმუშევრობა. ბევრგან შეჩერდა ან გვიანდებოდა ხელფასების გაცემა.

უფსკრულისაკენ

რუსეთი სხვადასხვა საშუალებით უწყობდა ხელს „ურჩ“ რესპუბლიკაში ქაოსის გაღრმავებას. მან ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიწოდებაც კი შეუწყვიტა საქართველოს. მთელი ქვეყანა ჩაბნელდა. იშვიათად ნათდებოდა ცალკეული რეგიონები ან დედაქალაქის ზოგი უბანი. ქალაქების მოსახლეობა იძულებული გახდა, შეშა ეყიდა და მაღალსართულიან კორპუსებში ღუმლები დაედგა. ეს ჯოჯოხეთი რამდენიმე წელს გაგრძელდა.

საქართველოში კიდევ ერთი უკუღმართობა მოხდა, რაც სხვა პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში არ მომხდარა: გადატრიალების, ომებისა და სამოქალაქო დაპირისპირებების დროს პირწმინდად გაიძარცვა დაწესებულებები, ფაბრიკები, ქარხნები, სავაჭრო, სამეურნეო თუ ადმინისტრაციული ორგანიზაციები. ნაძარცვი უფუნქციო შენობებიდან გაჰქონდათ და მეზობელ ქვეყნებში ყიდდნენ.

კვლავ კაპიტალიზმი

ეს სისტემა ერთხელ უკვე გაიარა საქართველომ – ბატონყმობის გაუქმებიდან საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობამდე (1864-1921 წწ). შემდეგ დაიწყო სოციალიზმის 70-წლიანი პერიოდი. ახლა კვლავ კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლის ეპოქა დადგა. გამსახურდიამ ვერ გაბედა საამისოდ რეფორმების გატარება, ვინაიდან ეშინოდა, რომ გაღატაკებულ ქვეყანაში წარმოების ძირითად საშუალებებს უცხოელები დაეპატრონებოდნენ. ახლა ჯერი შევარდნაძეს ერგო. მან ზოგი ცვლილება სიფრთხილით გაატარა:

- მეწარმეებს უფლება მისცა, ფასები თავად დაეწესებინათ;
- გაათავისუფლა იმპორტი სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვისაგან;
- შემოიღო ფულის ახალი ერთეული – კუპონი;
- დაიწყო ბინებისა და მიწის პრივატიზაცია ანუ მათი მოსახლეობისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა (მანამდე ეს ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნოდა და ხალხს სახელმწიფოს კუთვნილ ბინებში ცხოვრების უფლება ენიჭებოდა).

1994 წელს ოფიციალური მონაცემებით საქართველოში 80 000-მდე უმუშევარი იყო. სინამდვილეში მათი რაოდენობა 800 000-ს აღემატებოდა.

შევარდნაძის რეფორმებს მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია. ომი და დაპირისპირება ყველაფერს ანადგურებდა. კუპონი რამდენიმე თვეში გაუფასურდა. ერთი ამერიკული დოლარი მილიონზე მეტი კუპონი ღირდა. პირველი მოხმარების პროდუქტი: ფქვილი, შაქარი თუ ხორცი მხოლოდ რუბლითა და დოლარით იყიდებოდა.



საკანონმდებლო საფუძველი

ქვეყანაში გამეფებული ქაოსის პირობებში მაინც გადაიდგა ზოგი საიმედო ნაბიჯი. პირველ ყოვლისა, ესაა კონსტიტუციის მიღება.

მუშაობა კონსტიტუციის რამდენიმე ვარიანტზე მიმდინარეობდა, რომლებსაც ქართველი კანონმდებლები ზედიზედ იწუნებდნენ. ბოლოს ისეთი მოდელი მოიწონეს, რომელიც პრეზიდენტის ძლიერ ხელისუფლებას გულისხმობდა. შევარდნაძეს მიაჩნდა, რომ იმ პერიოდში საპარლამენტო რესპუბლიკა უფრო გააძლიერებდა ქაოსს და ქვეყანას ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა სჭირდებოდა.

მსოფლიო ბანკმა და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს ახალი სესხი გამოუყო, რომლის რაოდენობა 300 მილიონ ამერიკულ დოლარს უდრიდა.

პოზიტიური ცვლილებები

1995 წელი ფაქტობრივად პირველი მშვიდობიანი წელიწადი იყო სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ამ წელს ქვეყანაში შემოვიდა პირველი ფინანსური დახმარება დასავლეთის სახელმწიფოებისაგან, 850-მილიონიანი დოლარის საგარეო ვალის ნაწილი კი ჩამოიჭრა. ქვეყნის ეკონომიკა გაუმჯობესდა და 2%-ით გაიზარდა. რეალურად ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ მთავარია, ეკონომიკური ვარდნა შეჩერდა.

1995 წელი მნიშვნელოვანი წელი იყო საქართველოსათვის. ქვეყნის მეორე პრეზიდენტი გახდა ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტმა კი ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა.

სტაბილიზაციის ნიშნები

საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების დახმარება საქართველოს ბიუჯეტის ნახევარს ავსებდა. ასევე, დიდ იმედს აჩენდა საქართველოს გაერთიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასა და სხვა ეკონომიკურ საერთაშორისო ორგანიზაციებში. ერთ-ერთი ასეთი იყო ტრასეკა (ე.წ. ახალი აბრეშუმის გზა) – კავკასიაზე გამავალი მაგისტრალი, რომელსაც ევროკავშირის ქვეყნები შორეულ აღმოსავლეთთან უნდა დაეკავშირებინა. მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია იყო ბისეკიც ანუ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება, რომელშიც საქართველო შევიდა.

კვლავ უკან დახევა

მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, 1998 წლიდან კვლავ ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. ქვეყნის ენერგორესურსები ჯერ ისევ რუსეთზე იყო დამოკიდებული. რეფორმებმა შედეგები არ მოიტანა. მოსახლეობის 60% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობდა. 2002 წელს სახელმწიფოს შემოსავლების რაოდენობამ გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდის შემოსავლების მხოლოდ 40% შეადგინა. მდგომარეობას ვერც უცხოელი ეკონომიკური ექსპერტები შველოდნენ.

შევარდნაძემ ეკონომიკურ მრჩევლად მოიწვია ლეშეკ ბალცეროვიჩი – პოლონეთის ყოფილი პრემიერის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი. მის სახელს უკავშირდებოდა პოლონეთში განხორციელებული ფინანსურ-ეკონომიკური რეფორმები. მაგრამ ვერც ბალცეროვიჩმა გაართვა თავი საქართველოს ეკონომიკურ პრობლემებს ან შესაძლებელია მისი რჩევების განხორციელება ვერ მოხერხდა.

მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტი იყო ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გაყვანაც, რომელიც 1999 წლის 17 აპრილიდან ამუშავდა.

შემობრუნება დასავლეთისაკენ

ედუარდ შევარდნაძე ევროსაბჭოში სტამბოლოს სამიტზე

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შემდეგ დასავლურ სამყაროსთან დაახლოების დიდი სურვილი საქართველომ გამოამჟღავნა შევარდნაძის მმართველობისას.

1992 წელს საქართველო ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ მან ხელი მოაწერა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის (NATO) პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ასე დაიწყო საქართველოს პარტნიორული ურთიერთობა NATO-სთან.

განსაკუთრებით საინტერესო იყო საქართველოში აშშ-ის მიერ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა. ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ სამხედროებს ანტიტერორისტული ოპერაციების მომზადებაში ეხმარებოდნენ.

ორმოცდამეერთე

პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია

ამ რიგით აღინიშნა ევროპის საბჭოს ახალი წევრი – საქართველო 1999 წლის 27 აპრილს. ევროსაბჭოში გაწევრიანების დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ განაცხადა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე – ვარ ევროპელი“.

ამ შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარე ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის სურვილს გამოხატავდა. ცოტა ხნით ადრე მათი გამოკითხვა ჩატარდა და გამოკითხულთა 68%-მა დაუჭირა მხარი საქართველოს ადგილს ევროპაში. 19% კი დსთ-ში გაერთიანების მომხრე იყო.

ქართველი ჯარისკაცები NATO-ს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში.

სტამბოლის სამიტი

შევარდნაძის პრეზიდენტობისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ევროპის საბჭოს ქვეყნების სტამბოლში შემდგარი სამიტი გახლდათ. სამიტის გადაწყვეტილებით, რუსეთს საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზები უნდა გაეყვანა.

დროთა განმავლობაში რუსეთმა მართლაც გაიყვანა სამხედროები ვაზიანიდან, ახალქალაქიდან და ბათუმიდან. რჩებოდა კიდევ ერთი ბაზა აფხაზეთის ტერიტორიაზე. არც ახალქალაქში მყოფი ბაზა წასულა შორს. ის სომხეთის ტერიტორიაზე განთავსდა.

რუსული დამოკლეს მახვილი

შევარდნაძეს თითქოს დასავლური კურსი კი ჰქონდა არჩეული, მაგრამ მაინც ცდილობდა, არც რუსეთთან გაეფუჭებინა ურთიერთობა. როცა ის დასავლეთისაკენ ერთ ნაბიჯს დგამდა, ამას აუცილებლად მოჰყვებოდა რუსეთისადმი კეთილგანწყობის გამომხატველი რაიმე ქმედება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთს მაინც აღიზიანებდა შევარდნაძის კურსი და მისი თერთმეტწლიანი მმართველობის პერიოდში დამოუკიდებელი საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულება მუდმივად არაკეთილგანწყობილი იყო. დიდ მეზობელთან დაძაბული ურთიერთობა კი სერიოზულ სიძნელეებს უქმნიდა საქართველოს განვითარებას.

დამოკლეს მახვილი

ძვ.წ. V–VI საუკუნეებში ქალაქ სირაკუზს (სიცილიაზე) განაგებდა ვინმე დიონისე. ერთხელ მას ერთ-ერთმა კარისკაცმა, დამოკლემ უბედნიერესი ადამიანი უწოდა. მაშინ დიონისემ დამოკლეს შესთავაზა, ერთი დღით დაეკავებინა სირაკუზის მეფის ტახტი. კარისკაცი დათანხმდა და მეფის ტახტზე მოკალათდა. საღამოს, ნადიმის დროს დამოკლემ შენიშნა, რომ სუფრასთან მსხდომნი გამუდმებით იყურებდნენ ჭერში, მის თავს ზემოთ. თვითონაც აიხედა მაღლა და შიშისაგან გული შეეკუმშა: მისი თავისკენ დამიზნებული მახვილი ჭერში მხოლოდ ერთ ძუაზე იყო ჩამოკიდებული. დამოკლემ მთელი საღამო სიკვდილის შიშში გაატარა. მას შემდეგ ტერმინ „დამოკლეს მახვილით" მუდმივ საფრთხეს აღნიშნავენ ხოლმე.

რუსული ბაზების გასვლა საქართველოდან

21 ნოემბერს დასავლეთ საქართველოდან წამოსულ ავტოკოლონას წინ მოუძღოდა წალენჯიხის ავტობუსი, რომელშიც ოპოზიციის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი იჯდა.

მუდმივი რევოლუციების ქვეყანა

შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში მისი მერყევი პოლიტიკა საქართველოს მოსახლეობისთვის აუტანელი გახდა. ამას დაემატა ისიც, რომ 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებამ მონაცემები გააყალბა და უპირატესობა პრორუსულ პოლიტიკურ დაჯგუფებას – „დემოკრატიული აღორძინების კავშირს“ მიანიჭა, რომელსაც აჭარის ავტონომიის ლიდერი ასლან აბაშიძე მეთაურობდა. პროდასავლური პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ კი მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით მეორეხარისხოვან პოზიციაში აღმოჩნდა.

გაყალბებით აღშფოთებულმა ოპოზიციამ მოსახლეობას პროტესტისაკენ მოუწოდა. მთავრობის სახლის წინ მიტინგები დაიწყო. ნაციონალებს მიემხრნენ ე. წ. გაერთიანებული დემოკრატების ჯგუფი ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას მეთაურობით.

თავისუფლების მოედანზე თავშეყრილ მომიტინგეებს ყოველდღე ემატებოდა ხალხი.

სახალხო პროტესტი

9 ნოემბრიდან აქციები ყოველდღე იმართებოდა. შევარდნაძესა და ოპოზიციის ლიდერებს შორის მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა. 14 ნოემბერს კი ოპოზიციამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე უარი განაცხადა და მთავარ მოთხოვნად პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომა წამოაყენა.

21 ნოემბერს ოპოზიციის მომხრეები რეგიონებიდან თბილისში ჩამოვიდნენ და თავისუფლების მოედანზე შეიკრიბნენ.

„ვარდების რევოლუცია“

22 ნოემბერს ოპოზიციონერები სააკაშვილის მეთაურობით პარლამენტის შენობაში შეიჭრნენ. ამ დროს ახალი პარლამენტის პირველ სხდომაზე ედუარდ შევარდნაძე მისასალმებელ სიტყვას ამბობდა. ის დაუყოვნებლივ გაიყვანეს შენობიდან.

მეორე დღეს გაიმართა მოლაპარაკება შევარდნაძესა და ოპოზიციის ლიდერებს შორის. შეხვედრის შემდეგ შევარდნაძემ პრეზიდენტობიდან გადადგომის განცხადება გააკეთა. პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შესრულებას ნინო ბურჯანაძე შეუდგა. ასე მშვიდობიანად დასრულებულ რევოლუციას მოგვიანებით „ვარდების რევოლუცია“ უწოდეს.

სხდომათა დარბაზში შევარდნილ სააკაშვილს ხელში მშვიდობის ნიშნად ერთი ვარდი ეჭირა.

ახალი ხელისუფლება

საქართველოს ხელისუფლების სათავეში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მისი მხარდამჭერები მოვიდნენ. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილმა გაიმარჯვა და ქვეყნის პრეზიდენტი გახდა.

შეიძლება ითქვას, რომ აქედან იწყება პერიოდი, რომელსაც ისტორია ჯერ კიდევ არ უნდა ვუწოდოთ. ეს ჯერ კიდევ თანამედროვეობაა, რომლის სწორად შეფასებას მხოლოდ შემდგომი თაობები შეძლებენ.

ეს იუსტიციის სახლია ყვარელში. თანამედროვე, უცნაური არქიტექტურით გამორჩეული იუსტიციის სახლები თითქმის ყველა ქალაქში აშენდა. ამ შენობებში მოსახლეობას შეუძლია, სწრაფად, ზედმეტი დაბრკოლების გარეშე მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი, საბუთი თუ ინფორმაცია, რომლის გაცემის უფლებაც მხოლოდ სახელმწიფოს აქვს.

აჩქარების სტრატეგია

სააკაშვილს მიაჩნდა, რომ შევარდნაძის ხელისუფლებამ ბევრი დრო დაკარგა, რეფორმები არ გაატარა და ქვეყანა ჩამოარჩინა. ამიტომ საჭირო იყო ამ ათწლიანი ჩამორჩენის სწრაფად ანაზღაურება. რეფორმები ერთდროულად რამდენიმე სფეროში დაიწყო. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ახალი ხელისუფლება მტკიცედ შეკრული გუნდი აღმოჩნდა, რაც იშვიათი იყო ქართული რეალობისათვის.

აჩქარების სტრატეგიამ ორმაგი შედეგი გამოიღო: ერთი მხრივ, ცხადი იყო შთამბეჭდავი წარმატება არაერთ სფეროში და მეორე მხრივ – ბევრი შეცდომა, რომლებსაც სხვადასხვაგვარი შედეგი მოჰქონდა სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის.

ეკონომიკური მაჩვენებლები

ქვეყნის საერთო მდგომარეობას უპირველესად ეკონომიკა განსაზღვრავს. ნაციონალების მმართველობის პერიოდში ბევრი ეკონომიკური მაჩვენებელი გაუმჯობესდა.

- სამჯერ შემცირდა საქართველოს საგარეო ვალი (2008 წლის ომამდე);
- ვაჭრობა გაიზარდა თითქმის ყველა სფეროში;
- უცხოურმა ინვესტიციებმა რეკორდულ ციფრს – 2 მილიარდს მიაღწია;
- ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი მოსახლეობას უწყვეტად მიეწოდებოდა.

არაერთგვაროვანი შედეგები

რეფორმებმა ეკონომიკის ბევრ სფეროში მდგომარეობა გააუმჯობესა, მაგრამ მოსახლეობამ ეს ნაკლებად იგრძნო. გაუმჯობესდა მათი მხოლოდ ნაწილის მდგომარეობა. ესენი იყვნენ: პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, სახელმწიფო, ბიუროკრატიულ, ეკონომიკურ თუ საგანმანათლებლო სისტემაში მომუშავე ჯგუფები; სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებსა ან აქა-იქ შემორჩენილ საწარმოებში, ტრანსპორტის სფეროში დასაქმებული ყოფილი მუშათა კლასის ნარჩენები, რადგან ასეთი კლასი უკვე ფაქტობრივად აღარ არსებობდა.

ქვეყნის მოსახლეობა სამ ძირითად ბანაკად დაიყო: უმუშევრები, დასაქმებულები და საზღვარგარეთ წასულები.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მილიონზე მეტი ადამიანი მუშაობდა და გამოგზავნილი ფულით არჩენდა ოჯახს.

ფანტასტიკური გეგმა

2008 წლის დასაწყისში პარლამენტმა დაამტკიცა ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი პროგრამა სახელწოდებით „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“. ის გულისხმობდა ბიუჯეტის განუწყვეტელ ზრდას და 200000 სამუშაო ადგილის გაჩენას, რაც უმუშევრობის დიდწილად შემცირებას ნიშნავდა.

პროგრამა მეტისმეტად ამბიციური გამოვიდა და ვერ განხორციელდა, თუმცა, ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ მას 2008 წლის ომმა შეუშალა ხელი.

გლეხებისთვის შემოსავლის ძირითად წყაროდ კვლავ მიწა და მასზე მოწეული მოსავალი რჩებოდა.

მშვიდობის ხიდი თბილისში

კახა ბენდუქიძემ ეკონომიკის მინისტრობის დროს 70-მდე რეფორმა განახორციელა. იმ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა 9%-ით გაიზარდა და ინვესტიციები გაოთხმაგდა.

„ქართული ეკონომიკის სასწაული“

ასეთი ეპითეტითაც ამკობდნენ ნაციონალების ხელისუფლების პერიოდში მიღწეულ წარმატებებს დასავლეთში. ეს წარმატებები ძირითადად უცხოურ ინვესტიციებზე იყო დამყარებული. ამას ემხრობოდა ქართული ეკონომიკის არქიტექტორად მიჩნეული კახა ბენდუქიძეც, რომელიც სააკაშვილმა ქვეყნის ეკონომიკის მინისტრად დანიშნა. მისი ინიციატივით სახელმწიფომ პრივატიზაციის ახალი ტალღა განახორციელა.

მოწინააღმდეგენი

ნაციონალების ხელისუფლებასა და ეკონომიკურ პოლიტიკას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ისინი პირიქით ფიქრობდნენ, რომ ინვესტიციები და აქაური საწარმოებისა თუ რესურსების უცხოელებისთვის მიყიდვა ქვეყნის დამონებას გამოიწვევდა, რაც, მათი აზრით, ხდებოდა კიდეც ნაციონალების ხელისუფლების პერიოდში.

ოპოზიციონერები მიუთითებდნენ ამერიკელი ეკონომისტის, ჯონ პერკინსის ნაშრომს, რომლის მიხედვით, რომელიმე დიდი საერთაშორისო კომპანია მსხვილ სესხს აძლევს ჩამორჩენილ ქვეყანას, თუმცა, ეს ფული ვერასოდეს აღწევს ამ ქვეყნის მოსახლეობამდე (როგორც ეს 90-იანი წლების საქართველოში ხდებოდა). ამავე დროს ამ ქვეყანაში უცხოელები

უცხოური ინვესტიციები არაერთი ქალაქის განვითარებას მოხმარდა. მათ შორის გამორჩეულია ბათუმი, სადაც ბევრი თანამედროვე, მსოფლიო ბრენდის სასტუმრო აშენდა, გარემონტდა გზები და ბულვარები, გაჩნდა ახალი რესტორნები, კაფეები და სკვერები.

აშენებენ საწარმოებს და შემოსული ინვესტიციით თვითონ მდიდრდებიან, დასახმარებელი ქვეყნის მოსახლეობა კი კვლავ სიღარიბეში ცხოვრობს. შესაბამისად, ვალში ჩავარდნილი ქვეყანა ვალს ვეღარ იხდის. სანაცვლოდ უცხოური კომპანია აიძულებს მას, რომელიმე ნედლეული, მაგალითად, ნავთობი ან ხე-ტყე იაფად მიჰყიდოს და ასე თანდათან დაეპატრონება დავალიანებული ქვეყნის რესურსებს.

რომელი მხარეა მართალი?

თქვენ წარმოიდგინეთ, ორივე. თუ ჩამორჩენილი ქვეყანა აღებულ კრედიტს უნარიანად გამოიყენებს, იქიდან მიღებულ მოგებას კვლავ ბიზნესის განვითარებას მოახმარს, მოსახლეობის ინტერესს დაიცავს და მასზე იზრუნებს, ასეთი ხელისუფლება ქვეყანას განავითარებს. ხოლო თუ კორუმპირებული ხელისუფლება მხოლოდ ინვესტორის ინტერესს მოემსახურება და აღებულ კრედიტს პირადი კეთილდღეობისთვის გამოიყენებს, რა თქმა უნდა, ქვეყანაცა და მოსახლეობაც ჩამორჩენილობისა და გაჭირვებისათვისაა განწირული.



ნაციონალების მოწინააღმდეგეებს შორის პოპულარობით სარგებლობდა ამერიკელი ეკონომისტის, ჯონ პერკინსის წიგნი „ეკონომიკური მკვლელის აღსარება". მასში აღწერილი იყო დასავლური კორპორაციების მიერ ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური დამორჩილების პროცესი და მეთოდები.

კორუფციის გამოწვევა

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროის ერთ მინისტრს „ბატონ 25 პროცენტს" ეძახდნენ, რაც მიანიშნებდა, რომ ნებისმიერი კორუფციული გარიგებიდან 25%-ს იჯიბავდა.

კორუფცია თანამდებობის პირის მოსყიდვას ნიშნავს და დამანგრეველი შედეგი მოაქვს ნებისმიერი სახელმწიფო წყობისათვის. კორუფციის პირობებში არცერთი საქმის შესრულება არ ხერხდება სამართლიანად და სრულფასოვნად. კორუფცია ძველი საბჭოთა სისტემის უკურნებელი სენი იყო და მემკვიდრეობით გადმოეცა დამოუკიდებელ საქართველოს.

90-იან წლებში კორუფცია ქართველი საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა. თანამდებობის პირთა უმრავლესობა კორუფციის წესებით ცხოვრობდა. არაკორუმპირებულები კი იძულებულნი იყვნენ, ამ სისტემას შეჰგუებოდნენ. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მონა-

მთელ რიგ სფეროებში, მაგალითად, საპატრულო პოლიციასა თუ საგანმანათლებლო სფეროში, შეიქმნა ისეთი სისტემა, რომელიც გამორიცხავდა კორუფციის არსებობას.



ცემით, მსოფლიოს 133 ქვეყანას შორის, კორუფციის მიხედვით, საქართველოს ბოლოდან მეშვიდე ადგილი ეკავა. ახალმა ხელისუფლებამ კორუფციის მოსპობა განიზრახა.

„კუდიანების დევნა“

სააკაშვილის პრეზიდენტობა ყველაზე სახელგატეხილი კორუმპირებული მინისტრების, დეპუტატების, საგადასახადო და საბაჟო სამსახურების უფროსებისა თუ მოსამართლეების დაჭერით დაიწყო. ამას მოჰყვა მთელი დეპარტამენტების მუშაკთა განთავისუფლება, მათ შორის – მილიციელებისა, რომელთა ნაცვლად საპატრულო სამსახური შეიქმნა და მილიციაში არსებული კორუფციული სისტემა ძირფესვიანად შეიცვალა.

პრეზიდენტის ბრძანებულებით შემუშავდა და დამტკიცდა სპეციალური ანტიკორუფციული გეგმა. ამან შთამბეჭდავი შედეგიც გამოიღო. რამდენიმე წელიწადში ქვეყანაში მასობრივი კორუფცია დამარცხდა, რაც დადებითად აისახა მოსახლეობის ყველა ფენაზე.

სიტყვა კორუფცია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან corruptio, რაც მოსყიდვას, გარყვნას, გაფუჭებას ნიშნავს.
კორუფციას უწოდებენ ასევე საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით. მისი ყველაზე გავრცელებული ფორმაა მექრთამეობა – საქმის გაკეთების სანაცვლოდ ვინმესგან ფულის უკანონოდ აღება.

კორუმპირებული პირების დაპატიმრებას ტელევიზიით აშუქებდნენ. ამის მიზანი იყო, ხალხისთვის ეჩვენებინათ, რომ ხელისუფლება არავის დაინდობდა და მათ უკუღმართ საქმიანობას საქვეყნოდ გააცხადებდა.

90-იან წლებში დიპლომი ახალგაზრდის მთავარ ღირსებად მიიჩნეოდა.

განათლების რეფორმას მოჰყვა ახალი უმაღლესი სასწავლებლების დაარსება, რომლებიც განსხვავებით 90-იანი წლების კერძო სასწავლებლებისგან, სრულად შეესაბამება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს. ერთ-ერთი ასეთია „თავისუფალი უნივერსიტეტი".

განათლების სისტემა – ხელისუფლების თავსატეხი

საბჭოთა პერიოდში საქართველო განათლების დონის მიხედვით ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა იყო. 90-იან წლებში კი სახელმწიფომ თითქმის შეწყვიტა განათლების დაფინანსება, რამაც გამანადგურებლად იმოქმედა ამ სისტემაზე. ლექტორებისა და მასწავლებლების ხელფასი ძალიან დაბალი იყო. სასწავლებლების შენობები არ რემონტდებოდა და ზამთარში არ თბებოდა.

დიპლომანია

მიუხედავად მდგომარეობის სიმძიმისა, იმ პერიოდში უმაღლესი განათლების დიპლომის მიღების მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს უმოქმედობა კერძო პირების მონდომებამ ჩაანაცვლა. კერძო სასწავლებლები სოკოებივით მომრავლდა არამარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც. მაგრამ სამწუხაროდ, ამგვარ სასწავლებლებში სწავლების ხარისხი დაბალი იყო. დამაკმაყოფილებელ სტანდარტებს მხოლოდ რამდენიმე ძველი, ძლიერი უმაღლესი სასწავლებელი ინარჩუნებდა.

რეფორმა აუცილებელია

განათლების სფეროშიც კორუფცია ბატონობდა. უმაღლეს სასწავლებელში პრესტიჟულ ფაკულტეტზე მოხვედრის მსურველს გვარიანი ფული უნდა გადაეხადა. რეპეტიტორობა, ანუ გამოცდების ჩასაბარებლად მოსწავლეების მომზადება, ლექტორთა მთავარ შემოსავლის წყაროდ იქცა.

ამ მძიმე ვითარებაში ახალმა ხელისუფლებამ განათლებისა და მეცნიერების მინისტრად ალექსანდრე ლომაია დანიშნა. ახალმა მინისტრმა განახორციელა აუცილებელი რეფორმა – უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების სისტემა „ერთიანი ეროვნული გამოცდებით“ შეცვალა, რამაც ამ სფეროში არსებული კორუფციული ეპოქა ერთი ხელის მოსმით დაასრულა და უმაღლესი სასწავლებლის კარი გაუხსნა ხელმოკლე, მაგრამ ნიჭიერ მოსწავლეებს. ამავე დროს გამკაცრდა კერძო სასწავლებლების კონტროლიც და სწავლებისა და შეფასების პროცესი გამჭვირვალე გახდა.

ალექსანდრე ლომაია – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2004-07 წლებში

განათლების რეფორმა შეეხო სკოლებსაც. პირველ ყოვლისა, დაიწყო მუშაობა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, ახალი სტანდარტის შესაბამის სახელმძღვანელოებზე და გაჩნდა მათი რამდენიმე ალტერნატივა.

საბჭოთა გადმონაშთი

პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტის წინაშე გამოსვლისას განაცხადა: – „მე ვაცხადებ ნულოვან ტოლერანტულობას წვრილმანი დანაშაულისთვისაც კი... ქურდები, მძარცველები, ყველა მათგანი ციხეში უნდა წავიდეს... მათ მიმართ ტოლერანტობა არ უნდა იყოს... ეს ყველამ უნდა გაიგოს, სასამართლომაც და ყველამ".

მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ შეიარაღებული ფორმირებები აკრძალა და კიტოვანი და იოსელიანი ციხეში გამოკეტა, ე.წ. „კანონიერმა ქურდებმა" მაინც მყარად მოიკიდეს ფეხი. ისინი აკონტროლებდნენ საბანკო სფეროს, აწარმოებდნენ გარიგებებს, ყიდდნენ ნარკოტიკებს. მათი გავლენა ისეთი დიდი იყო, რომ შეეძლოთ მოეხსნათ ან დაეინიშნათ მინისტრიც კი. ფაქტობრივად, არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ წყდებოდა „ქურდების" ჩარევის გარეშე.

ნულოვანი ტოლერანტობა

ვარდების რევოლუციის შემდეგ კრიმინალურ სამყაროსთან დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. გამოიცა რამდენიმე ანტიკრიმინალური კანონი. ერთ-ერთი იყო კანონი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, რომელიც აშშ-ისა და იტალიის კანონმდებლობის მიხედვით დაიწერა.

გარდა ამისა, შეიქმნა სპეციალური პოლიციური სამსახურები, ხოლო სააკაშვილმა ნულოვანი ტოლერანტობა გამოუცხადა ყველა დამნაშავეს და დაიქადნა, რომ საქართველოს ქუჩები „გაიწმინდებოდა კრიმინალური ნაგვისაგან".

ანტიკრიმინალური კამპანიის მასშტაბი კარგად ჩანს ციფრებით: 2003 წელს საქართველოს ციხეებში 6274 პატიმარი იჯდა, 2010 წლისათვის კი მათმა რაოდენობამ 24000-ს მიაღწია.



ანტიკორუფციული და ანტიკრიმინალური კამპანიის შედეგები შთამბეჭდავი იყო. კამპანიის დასაწყისშივე 33 „კანონიერ ქურდს“ პატიმრობა მიუსაჯეს. ფულის გათეთრების ერთ-ერთ საშუალებად ჩაითვალა კაზინოები და მათი რაოდენობა 38-დან ორამდე შემცირდა.

სულ მალე ნაციონალების ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ საქართველო „კანონიერი ქურდებისაგან“ გაიწმინდა. მათმა ნაწილმა რუსეთს, ესპანეთს, ავსტრიას და სხვა ქვეყნებს შეაფარა თავი.

უკუშედეგები

მთავარი უკუშედეგი ის იყო, რომ ანტიკრიმინალური კამპანიისას სახელმწიფო გადაჭარბებით იყენებდა ძალას. საზოგადოება იწონებდა ანტიკრიმინალურ ბრძოლას, მაგრამ პროტესტს გამოთქვამდა, თუ ეს მოხდებოდა კანონდარღვევის ხარჯზე. ამიტომაც ამ სისტემაში დაშვებულმა შეცდომებმა საზოგადოების დიდი ნაწილი ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყო.

ეს თემიდას ქანდაკებაა. თემიდა სამართლიანობის ქალღმერთია ბერძნულ მითოლოგიაში. მას თვალებახვეული ქალის სახით გამოსახავენ, რომელსაც ხელში სასწორი უჭირავს. ეს იმას ნიშნავს, რომ თემიდა ნებისმიერი დამნაშავის გასამართლებისას ობიექტურია.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის, NATO-ს დროშა და ლოგო

დასავლური არჩევანი

1949 წელს ვაშინგტონში დასავლეთის თორმეტი სახელმწიფოს წარმომადგენელებმა ხელი მოაწერეს სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას, რომელიც დღეს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის, იგივე NATO-ს სახელითაა ცნობილი.

ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ მიზნად საქართველოს დასავლურ ორგანიზაციებში გაერთიანება დაისახა. პირველ ყოვლისა, იგულისხმებოდა სწორედ NATO და ევროკავშირი.

NATO-ს წევრობისათვის რამდენიმე პროგრამაა დაწესებული, რომლებიც ამ ორგანიზაციაში გაერთიანების მსურველმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ. ერთ-ერთი ასეთი პროგრამა იყო NATO-ს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველომ წარმატებით გადალახა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში (იხ. გვ.18). შემდეგი ეტაპი კი იყო ე. წ. MAP-ის პროგრამა, ანუ „წევრობის სამოქმედო გეგმა“. MAP-ის მიღება ამა თუ იმ ქვეყნისათვის NATO-ს წევრობის წინა საფეხურს ნიშნავდა.

ამ ფოტოზე თორმეტი ქვეყნის ლიდერები არიან გამოსახულნი. 1949 წელს სწორედ მათ მოაწერეს ხელშეკრულებას ხელი, რომლის თანახმად შეიქმნა ნატო. დამფუძნებლების მთავარი მიზანი იყო, წინ აღდგომოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე. ხელშეკრულების ხელმოწერით მათ ვალდებულება აიღეს, ერთობლივად დაეცვათ საკუთარი ქვეყნების თავისუფლება და უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო საშუალებებით.

რუსეთის ფაქტორი

2008 წლის აპრილში ბუქარესტში NATO-ს წევრი ქვეყნების მორიგი სამიტი შედგა. სხვა საკითხებს შორის საქართველოსა და უკრაინის მიერ MAP-ის პროგრამის მიღების საკითხიც უნდა გადაწყვეტილიყო. სამიტზე იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც ევროპის სხვადასხვა ლიდერთან აქტიურად აწარმოებდა მოლაპარაკებას.

სამიტზე არ იმყოფებოდა რუსეთის იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის პროგრამის მინიჭება რუსეთს ძალიან გააღიზიანებდა.

NATO-ს უარი

NATO-ს წესდების მიხედვით, დადებითი გადაწყვეტილება ვერ მიიღება, თუ მისი წევრი-სახელმწიფოებიდან რომელიმე მაინც წინააღმდეგია. საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მიღებას მხარი არ დაუჭირა გერმანიამ, საფრანგეთმა და კიდევ რამდენიმე სახელმწიფომ. ალიანსი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ბუნდოვანი განცხადება გააკეთა, ეს ქვეყნები მომავალში აუცილებლად გახდებიან NATO-ს წევრებიო. თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ უკრაინამ თვითონ თქვა უარი NATO-ში გაერთიანებაზე. საქართველო კი დღემდე რჩება ალიანსში გაერთიანების მსურველ ქვეყნად.

ევროკავშირამდეც შორია

რთული და შორი პერსპექტივა აღმოჩნდა საქართველოსთვის ევროკავშირში შესვლის საკითხიც. თუმცა, მიუხედავად ამისა, ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია. მან დაახლოებით ერთ მილიარდ ევროზე მეტი დახარჯა საქართველოში სხვადასხვა სახის პროექტის განხორციელებისა და დახმარებისათვის.



მიხეილ სააკაშვილი ბუქარესტის სამიტზე ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ერთად

კრემლის სტრატეგია

რუსეთის ხელისუფლება შეაშფოთა საქართველოს დასავლეთისაკენ მისწრაფებამ. მართალია, საქართველოს MAP-ი არ მიანიჭეს, მაგრამ კრემლმა მაინც სასწრაფო ზომების მიღება გადაწყვიტა.

2008 წლის ზაფხულში რუსეთის წაქეზებით ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ქალები და ბავშვები ცხინვალიდან გახიზნა და ქართული სოფლების მიმართულებით სროლა ატეხა. მალე, საქართველოს ხელისუფლების მონაცემებით, რუსეთის არმიის ერთ-ერთი პოლკის ბატალიონებმა როკის გვირაბის გამოვლით საქართველოს საზღვარი გადმოლახეს.

რუსეთის ჯარები საქართველოში

საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების აგრესიულ ნაბიჯს უპასუხა და 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცხინვალის დაბომბვა დაიწყო. ამას 8 აგვისტოს რუსეთის 58-ე არმიის ნაწილების საქართველოში შემოჭრა მოჰყვა. რუსეთმა „მცირერიცხოვანი ოსი ერის დაცვის საბაბით“ საქართველოს ფაქტობრივად ომი გამოუცხადა.

იმავე პერიოდში გააქტიურდნენ აფხაზი სეპარატისტებიც და საქართველოს ორ ფრონტზე უწევდა ბრძოლა.

რუსულმა ბომბდამშენებმა დაბომბეს ქალაქი გორი, მარნეულის აეროდრომი, გორის, ვაზიანისა და სენაკის სამხედრო ბაზები, ფოთის პორტი და სხვა ობიექტები. ამ რამდენიმედღიანი უთანასწორო ომისას 170 სამხედრო და 228 სამოქალაქო პირი დაიღუპა.

10 აგვისტოს დილის 5 საათზე პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით, ქართველებმა ცეცხლი შეწყვიტეს. მომდევნო დღეებში საქართველოში 20000-სზე მეტი რუსი ჯარისკაცი იმყოფებოდა რამდენიმე ასეული ტანკითა და საარტილერიო დანადგარით. მათ დაიკავეს დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი საავტომობილო მაგისტრალი, ასევე რამდენიმე ქალაქი და თბილისს მიუახლოვდნენ. ამ ფაქტმა მთელი მსოფლიო აღაშფოთა. საბოლოოდ, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ძალისხმევით, საქართველოსა და რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო.

ომის შედეგი

ომის შედეგები კატასტროფული აღმოჩნდა საქართველოსათვის. რუსეთის ხელისუფლებამ სცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მართალია, მისთვის მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობას არ მიუბაძავს, მაგრამ ფაქტი ერთია – აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი უფრო მეტად მოსწყდა საქართველოს სახელმწიფოს. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა საქართველოს შუაში, შიდა ქართლის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის გაჩენა. „სამხრეთ ოსეთის“ სახელმწიფოს დაფუძნებას არ ჰქონდა არც ისტორიული, არც საერთაშორისო-სამართლებრივი და არც ეროვნულ-განმათავისუფლებელი საფუძველი. ეს იყო რუსეთის მიერ შიდა ქართლის ტერიტორიის მოზრდილი ნაწილის დაპყრობა-ოკუპაცია.

სოლიდარობა

საქართველოს, რომელსაც რუსეთის მიერ სრულად ოკუპაციის საფრთხე უმუქრებოდა, მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ გამოუთქვა მხარდაჭერა. თბილისში ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის მეთაური ჩამოვიდა. მათ შორის იყვნენ პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ლიდერები. მათ თბილისში გამართულ სოლიდარობის მიტინგშიც მიიღეს მონაწილეობა. იმავე პერიოდში საქართველოს მხარდასაჭერად ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუშნერი და სხვები. სწორედ ამ მხარდაჭერის შედეგი იყო ის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა. რუსი სამხედროები საქართველოს ტერიტორიიდან გავიდნენ, თუმცა, კვლავ ოსი ხალხის დაცვის საბაბით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოს საზღვართან განლაგდნენ.

რამდენი ვიყავით და ვართ?

მსოფლიოში ყოველდღიურად 360000 ბავშვი იბადება და დაახლოებით 160000 ადამიანი იღუპება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა ყოველდღე 200000 ადამიანით იზრდება. დღეს ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჩინეთს ჰყავს, სადაც 1.4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. თუმცა, ფიქრობენ, რომ 2050 წლისათვის მას მოსახლეობის სიმრავლით ინდოეთი გაუსწრებს.

როგორია თანამედროვე საქართველო? როგორია ქართველი საზოგადოების პრობლემები, ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მდგომარეობა, ვინ როგორ ცხოვრობს და რა აწუხებს?

მოდი, მსოფლიოს მოსახლეობის სურათს გადავხედოთ. ბოლო ათწლეულებში მისი რაოდენობა სწრაფად იზრდება. 1850 წელს დედამიწაზე 1 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა, 1990 წელს მათმა რიცხვმა – 5 მილიარდს გადააჭარბა, ხოლო 2012 წელს 7 მილიარდი შეადგინა.

რამდენი ვიყავით და ვართ საქართველოში?

მაშინ, როცა მსოფლიოში მოსახლეობა განუწყვეტლივ იზრდება, იმავეს ვერ ვიტყვით ჩვენს სამშობლოზე. თავდაპირველად საქართველოშიც მნიშვნელოვნად მატულობდა მოსახლეობის რაოდენობა: 1950 წლიდან 1990 წლამდე მისი რიცხვი 3,527 მილიონიდან 5,460 მლნ ადამიანამდე გაიზარდა,

შემდეგ კი კლება დაიწყო და 1990-2010 წლებში 1,241 მლნ-ით შემცირდა. ამ ადამიანთა უმრავლესობა საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოს საძებნელად.

უკანასკნელი აღწერა 2014 წელს ჩატარდა და საქართველოში 3 713 804 მცხოვრები დათვალეს.

რამდენი ვიქნებით?

დღეს საქართველო მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალმიგრაციული ქვეყანაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნიდან საზღვარგარეთ საცხოვრებლად, სამუშაოდ თუ სასწავლებლად ბევრი მიდის და უკან მათი მცირე ნაწილი ბრუნდება. ამას ემატება ისიც, რომ ძალიან ცოტა ბავშვი იბადება – შობადობის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს ქვეყნებს შორის საქართველო 179-ე ადგილზეა.

თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისათვის შეიძლება კიდევ დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანით შემცირდეს.

რამდენი ვიყავით და ვართ ქართველები?

1959 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 4,044 მლნ ადამიანს უდრიდა. აქედან ეთნიკურად ქართველები 2,600 მილიონი, ანუ მოსახლეობის 64% იყო.

1989 წელს საქართველოში 5,400 მლნ მცხოვრებიდან 3,787 მლნ, ანუ მთელი მოსახლეობის 70% იყო ქართველი. მოგვიანებით მათი წილი 83%-მდე გაიზარდა, იმიტომ, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნიდან ბევრი არაქართველი წავიდა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ეს პორტრეტი თანამედროვე მხატვარს, გიორგი მაღრაძეს ეკუთვნის.
ქართული ეკლესია ეროვნული ტრადიციების შენარჩუნების გარდა ერის გამრავლებაზეც ზრუნავს. ილია II-მ წამოაყენა ინიციატივა, რომ ყოველ ოჯახში დაბადებულ მესამე და მომდევნო ბავშვს თავად მონათლავდა. ამ ინიციატივას დადებითი შედეგი მოჰყვა.

ქართული ეკლესია

ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ტრადიციები აქვს. ალბათ ამიტომაცაა, რომ არც ერთი სხვა ინსტიტუტი, ორგანიზაცია თუ დაწესებულება არ იცავს ისე მტკიცედ ქართველი ხალხის ეროვნულ ღირებულებებს, როგორც ეკლესია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს საქართველოში რელიგია ფაქტობრივად აღარ არსებობდა. ბევრი-ეკლესია მონასტერი გაუქმებული იყო და შესაბამისად, არც წირვა-ლოცვა ტარდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი ეკლესიამ კვლავ მოძლიერება დაიწყო. აშენდა არაერთი ახალი ტაძარი, იმატა ეკლესიის მრევლმაც.

დღეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ერთ-ერთი ძლიერი ინსტიტუტია საქართველოში, რომელსაც სათავეში კათალიკოს-პატრიარქი ილია II უდგას.

ამ ფოტოზე თბილისში, ელიას მთაზე აღმართული წმინდა სამების საკათედრო ტაძარია გამოსახული. მისი მშენებლობა 1989 წელს დაიწყო და 2004 წელს დასრულდა. ის დღემდე მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ-ერთ უდიდესი ნაგებობაა.

აღმსარებლობის თავისუფლება

2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება შედგა. მან დაადასტურა მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოში. ამავდროულად აღიარებულია აღმსარებლობის სრული თავისუფლება ქვეყანაში.

საქართველო მრავალეთნიკურთან ერთად მრავალრელიგიური ქვეყანაცაა. ვინ არ ცხოვრობს აქ: ქართველი მუსლიმები, კათოლიკები, პროტესტანტები, გრიგორიანელები და სხვ. ყველა რელიგიური ორგანიზაცია საქართველოში თანაბარი სამართლებრივი სტატუსით სარგებლობს.

აჭარის რეგიონში მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსლიმია. ზოგიერთი მაღალმთიანი სოფელი კი მთლიანად მუსლიმი აჭარლებითაა დასახლებული. ერთ-ერთი ასეთია სოფელი ღორჯომი ხულოს მუნიციპალიტეტში. ამ ფოტოზე ღორჯომის მეჩეთის ულამაზესი აღმოსავლური ორნამენტებით შემკული, კაშკაშა ფერებით მოხატული გუმბათებიანი ჭერია გამოსახული.

საქართველოში არჩევნებს ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაცია ატარებს.

არჩევნებში მონაწილეობა ყველა ზრდასრული ადამიანის ვალია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში და აფიქსირებდნენ თავიანთ მოსაზრებას. მომავალი სწორედ ახალგაზრდებისაა და ამიტომ უნდა აინტერესებდეთ, ხმა მისცენ რჩეულს, რომელიც, მათი აზრით, იქნება ქვეყნის გონიერი მმართველი, იზრუნებს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე, ხალხის დასაქმებაზე, სრულყოფილ და მაღალხარისხიან ჯანდაცვაზე და ა.შ. არჩეული მთავრობა კი ამომრჩევლის წინაშე ვალდებულია, გაამართლოს მათი ნდობა და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

დემოკრატიული საქართველო

დღეს დამოუკიდებელი საქართველო მსოფლიოს დიდი თანამეგობრობის წევრია. ქართული სახელმწიფო დემოკრატიულ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ხელისუფლება ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის ხელშია.

ქვეყნის მართვაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ ისინი არ მონაწილეობენ, ვინც სახელმწიფო დაწესებულებებში, მთავრობაში ან პარლამენტში მუშაობს. პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობად ითვლება რომელიმე პარტიის წევრობა, არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობა, საპროტესტო აქტიურობა, მედიაში აზრის გამოთქმა რაიმე სახით: პუბლიკაცია, ინტერვიუ, ტელეგადაცემა და ა.შ.

არჩევნები

მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირ მონაწილეობას არჩევნების საშუალებით იღებს. სწორედ ამით და ამაში გამოიხატება ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიულობა. დემოკრატია ხომ მოსახლეობის მიერ არჩევნების გზით ქვეყნის მართვას ნიშნავს. არჩევნების საშუალებით ხელისუფლების სათავეში ხალხის მიერ არჩეული პირები ან პოლიტიკური პარტიები მოდიან.

დემოკრატიის ანაბანა

დღეს მსოფლიოში მრავალი დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ დემოკრატიული მმართველობა ზოგ შემთხვევაში სუსტია, ფორმალური, ზოგში კი ძლიერი და რეალური.

დემოკრატია იქაა ძლიერი, სადაც აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება ვერ ერევა ერთმანეთის საქმეებში და ისინი საკმაოდ დამოუკიდებელნი არიან; სადაც გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ხელისუფლებაში მოდიან ახალი პოლიტიკური ძალები და ადამიანები.

დემოკრატია იქაა ძლიერი, სადაც მოქმედებენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და მოქალაქეებს საშუალება აქვთ, მათ ღიად დაუჭირონ მხარი; სადაც მედია თავისუფალია და სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში.

რევოლუციები და არჩევნები

თუ გავიხსენებთ, საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში ოთხი ხელისუფლება შეიცვალა. აქედან ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებები სახელმწიფო გადატრიალებების გზით დაემხო. დემოკრატიულობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2012 წელი. სწორედ ამ წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედი ხელისუფლება ახალმა პოლიტიკურმა ძალამ, „ქართულმა ოცნებამ“ კონსტიტუციური, კანონიერი არჩევნების გზით შეცვალა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ქართული დემოკრატიისათვის.

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ზეიმობენ არჩევნებში გამარჯვებას.



თბილისის პირველი ტელეანძა, რომელიც მთელ საქართველოში გზავნის სამაუწყებლო სიგნალს, მთაწმინდაზე 1955 წელს დაიდგა. თავდაპირველად ის შედარებით მცირე ზომის იყო და მისი სიგნალი ყველგან ვერ ვრცელდებოდა. ამიტომ მის ადგილას 1972 წელს ეს ანძა აღმართეს.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი მონაპოვარი სიტყვის თავისუფლებაა, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ანიჭებს უფლებას, შეუზღუდავად გამოხატოს საკუთარი აზრი. სიტყვის თავისუფლება თავის მხრივ მედიის თავისუფლების საფუძველია, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაში.

საბჭოთა პერიოდში ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა მედიასაშუალებებს და ზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას – პრესა, რადიო და ტელევიზია ცენზურას ექვემდებარებოდა, რათა არ დაეშვათ ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრის გავრცელება. ცენზორების შეფასებისა და ნებართ-

საზოგადოებრივი მაუწყებელი

საქართველოში მოქმედი მრავალი მაუწყებლიდან ერთი – საზოგადოებრივი მაუწყებელი, იგივე პირველი არხი ყველაზე ძველია. პირველი რადიომაწუყებლობა ამ კომპანიამ 1925 წელს დაიწყო, პირველი ტელეგადაცემა კი 1956 წლის 30 დეკემბერს გავიდა ეთერში.

თავიდან ტელემაუწყებლობა კვირაში ექვს დღეს, საღამოს 19:30 საათიდან ხორციელდებოდა. სტუდიას მხოლოდ ერთი უძრავი კამერა ჰქონდა და გადაცემათა ნახევარზე მეტი საბავშვო იყო. პირველ საინფორმაციო გადაცემას ეთერი პირველმა არხმა 1958 წელს დაუთმო. მას „უკანასკნელი ცნობები“ ერქვა და მაყურებელთა ინტერესი მალევე დაიმსახურა.

ვის გარეშე ვერც მხატვრული ნაწარმოებები და ფილმები იხილავდა დღის სინათლეს. დასავლურ პრესასა და ინფორმაციაზე წვდომა ხომ საერთოდ შეზღუდული იყო.

დღეს საქართველოში მედია თავისუფალია და ისეთი მრავალფეროვანი, როგორც არასდროს. გამოდის უამრავი ჟურნალ-გაზეთი, ასობით რადიო და სატელევიზიო არხი სხვადასხვა შინაარსის გასართობ და საინფორმაციო გადაცემებს უთმობს ეთერს, პოპულარულია ინტერნეტ-გამოცემები და ბლოგები, სოციალურ ქსელებში კი მილიონობით ადამიანია ჩართული და ღიად გამოხატავს საკუთარ აზრს. ინტერნეტმა და თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა უცხოური პრესა და ტელევიზია ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადა.

მედიასაშუალების მთავარი ღირსებაა, იყოს დამოუკიდებელი, შიუკერძოებელი და ობიექტურად აშუქებდეს ინფორმაციას, იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა სახისა.
2007 წელს საქართველოში მყოფი პოლონელი უფლებადამცველი ადამ მიხნიკი ამბობდა: თავისუფალი პრესა და თავისუფალი ჟურნალისტი „ნიშნავს, ფინანსურად დამოუკიდებელი ვიყო ისე, რომ ვერანაირმა ფორდმა თუ როკფელერმა... ვერ შეძლოს მიკარნახოს, რაზე დავწერო და რაზე – არა".

დღეს ნებისმიერი გემოვნების, შეხედულებისა თუ ასაკის ადამიანს აქვს საშუალება, სხვადასხვა არხით გაიგოს მსოფლიოს ახალი ამბები, ხოლო თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით თავადაც აქტიურად იყოს ჩართული ინფორმაციის გავრცელების პროცესში.



ქართველი საზოგადოება XX საუკუნის დასაწყისშივე იცნობდა ევროპის ქვეყნების გაერთიანების იდეას: გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე ჯერ კიდევ 1906 წელს წინასწარმეტყველებდა: „იდეა ევროპის შეერთებული შტატებისა, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს საუკუნეში, დიდი და ღრმა პოლიტიკური იდეაა... საერთაშორისო ძმობის განხორციელების პირობა ხალხთა არა ნაძალადევი, არამედ ნებაყოფლობითი კავშირია..."

ევროკავშირის იდეა

ევროპის ქვეყნების გაერთიანების იდეა დიდი ხანია, არსებობს. ძველ ხანაში ევროპა რამდენჯერმე გაერთიანდა დაპყრობის გზით: ჯერ რომის იმპერიამ, შემდეგ ფრანკების სახელმწიფომ, კიდევ უფრო გვიან კი რომის გერმანულმა საღვთო იმპერიამ ევროპის დიდ ნაწილი დაიმორჩილა.

XIX-XX საუკუნეებში ევროპის ქვეყნების მშვიდობიანი გაერთიანების იდეა ჩაისახა.

ევროკავშირის გზა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული და განადგურებული ევროპის ქვეყნებმა კარგად გააცნობიერეს მშვიდობისა და მეგობრობის ფასი. მათ გადაწყვიტეს, აღარასოდეს დაეშვათ ომი და ძალები გაეერთიანებინათ.

ჯერ შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება (1951); შემდეგ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა ანუ „საერთო ბაზარი" (1957),

ევროპარლამენტის შენობა სტრასბურგში

რომელსაც 1993 წლიდან ევროკავშირი დაერქვა. დღეს ამ გაერთიანებაში 28 სახელმწიფო შედის, რომელთა შორის საზღვრები და ურთიერთობა „გახსნილია“. საქართველო ჯერჯერობით არაა მისი წევრი, თუმცა ჩვენს ქვეყანასა და ევროკავშირს შორის უკვე არსებობს შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რაც იმას გულისხმობს, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფლად გაიყიდება. ამ ფაქტს მომავალში ბევრი დადებითი შედეგი მოჰყვება: გაიხსნება ახალი საწარმოები, დასაქმდება ხალხი, გაჩნდება უსაფრთხო და უვნებელი პროდუქცია. ეს ყველაფერი კი საქართველოს ეკონომიკას განავითარებს.

გარდა ამისა, ევროკავშირში გაერთიანებამდე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ შესაძლოა ევროპის ქვეყნებში იოლად მომოსვლაც შეძლოს.

სად შეგვეძლება უვიზო რეჟიმით სარგებლობა?

უვიზო რეჟიმით სარგებლობა შეგვეძლება ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში. ესენია: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი. ასევე – არაწევრ ქვეყნებში: ისლანდიაში, ლიხტენშტეინში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში, და კანდიდატ ქვეყნებში: ბულგარეთში, კვიპროსში, რუმინეთსა და ხორვატიაში.

რას ნიშნავს ვიზალიბერალიზაცია

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის არსებობის შემთხვევაში ქვეყნის მოქალაქეებს უფლება ეძლევათ, ევროკავშირის ქვეყნებში სამი თვის განმავლობაში უვიზოდ ჩავიდნენ, იმოგზაურონ.

საქართველოს ხელისუფლებამ ვიზალიბერალიზაციის შესახებ ევროკავშირთან მოლაპარაკება 2012 წელს დაიწყო და 2016 წლის 5 ოქტომბერს მისი წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლებისგან მხარდაჭერა მოიპოვა. ამის შემდეგ მოლაპარაკებები მიმდინარეობს ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების დეტალებისა და დროის შესახებ.

ევროკავშირის ქვეყნები ერთმანეთთან კიდევ უფრო დააახლოვა ერთმა ფაქტმა – 2002 წლიდან მის 19 სახელმწიფოში ერთიანი ვალუტა – ევრო ამოქმედდა.

ღირებულებების კონფლიქტი?

დასავლურ ღირებულებებს შორის ერთ-ერთი ძირითადია ადამიანის უფლებების დაცვა. დემოკრატიულ ქვეყანაში ყველა ადამიანი თანასწორია, მიუხედავად მისი წარმომავლობისა, სქესისა, კანის ფერისა, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებისა.

ქართულ საზოგადოებაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი განსხვავებული აზრი და პოზიცია. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ დასავლური ღირებულებები ეწინააღმდეგება ეროვნულ ფასეულობებს და ქართველი ხალხისათვის მიუღებელია.

– მართლა ასეა?

დასავლური ღირებულებები

თანამედროვე დასავლურ ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეებს საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისას ჩაეყარა საფუძველი. შემდგომში ისინი გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებითა და დოკუმენტებით შეივსო. ჩამოვთვალოთ მათგან რამდენიმე ძირითადი: ადამიანის უფლებების დაცვა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა.

ასევე, დასავლურ ღირებულებებს მიეკუთვნება იქაურ საზოგადოებებში დამკვიდრებული ტოლერანტობა, სამართლიანობა, სოლიდარობა და ყველაფერი, რაც გამორიცხავს სხვის ჩაგვრასა და დამცირებას.



სახელმწიფოს მმართველობაში მნიშვნელოვანი დასავლური მოდელია ხელისუფლებათა სამი შტოს გამოყოფა: საკანონმდებლო ხელისუფლებისა, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასამართლო ხელისუფლებისა. სწორედ ესაა დემოკრატიული სისტემის მთავარი საფუძველი, რომელიც აღნიშნული იყო პირველი ქართული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტსა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია

ეროვნული ღირებულებები

ეროვნულ ღირებულებებში იგულისხმება ყველაფერი, რაც ემსახურება ერის შენარჩუნებასა და განვითარებას. ისინი ასახულია შუა საუკუნეების მწერლობასა და მატიანეებში, ჩამოყალიბებულია ქართველი ეროვნული მოაზროვნეების: ილია ჭავჭავაძის, თერგდალეულების, არჩილ ჯორჯაძის, ივანე ჯავახიშვილის, XX საუკუნის ქართული კულტურის, მწერლობისა თუ მეცნიერთა მემკვიდრეობაში:

- ქართული ენისა და კულტურის, მეცნიერების დაცვა-განვითარება;
- ქვეყნის ტერიტორიის ხელშეუხებლობა;
- ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოება;
- დამოუკიდებლობა და თავისუფლება;
- ეროვნული, რელიგიური და სხვა უმცირესობების უფლებების დაცვა;
- მოსახლეობის ტრადიციებისა და ადათ-ჩვევების დაცვის თავისუფლება და ა.შ.

ეს და მსგავსი ეროვნული ღირებულებები კი არ ეწინააღმდეგება, პირიქით ავსებს და იდეალურადაა შეჯერებული ევროპულ ღირებულებებთან.

ორი პასპორტი

ისრაელის პრემიერ-მინისტრს, ბენიამინ ნეთანიაჰუს ეკუთვნის სიტყვები: თანამედროვე ადამიანს გულის ჯიბეში ორი პასპორტი უნდა ედოს: ერთი საკუთარი სამშობლო-ქვეყნისა, ხოლო მეორე — მსოფლიო მოქალაქისაო, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ჩვენგანი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქვეყნის პატრიოტი უნდა იყოს და ამავდროულად თავს გრძნობდეს მსოფლიოს ხალხთა დიდი თანამეგობრობის წევრადაც.

ქართულ ტრადიციებზე ლაპარაკისას ერთ-ერთი პირველი ქართული ხალხური ცეკვა და სიმღერა გვაგონდება, რომლებმაც დღემდე შემოინახა ქართველი კაცის ხასიათი და ბუნება.

ქალისა და მამაკაცის ეს ქანდაკება, რომელსაც ხალხმა „ალი და ნინო“ შეარქვა, ბათუმში ზღვის სანაპიროზე დგას. მისი ავტორია თანამედროვე ქართველი მოქანდაკე თამარ კვესიტაძე. მან სახელი მოძრავი სკულპტურებით გაითქვა, რომელთა შორის ეს ქანდაკება გამორჩეულია.

თავისუფალი ხელოვნება

კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველ ხელოვანებს საკუთარი წვლილი შეაქვთ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, მსოფლიო კულტურულ სივრცეში დაბრუნების საქმეში. დღეს ბევრი თანამედროვე ქართველი მუსიკოსი, არტისტი, დიზაინერი, მწერალი თუ რეჟისორი იღებს პრესტიჟულ საერთაშორისო ჯილდოებსა და პრემიებს, იპყრობს საოპერო თუ თეატრალურ სცენებს, საგამოფენო სივრცეებსა და მოდის პოდიუმებს.

ქანდაკება და მხატვრობა

თანამედროვე ქვეყანა წარმოუდგენელია ქანდაკების გარეშე, სკულპტურული კომპოზიციები არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ სოციალურ შინაარსსაც მატებენ იმ სივრცეს, სადაც დგანან. ქვეყნის ან თუნდაც ეპოქის სახეს საბოლოოდ ხომ კულტურა და ხელოვნების ძეგლები ქმნიან.

თანამედროვე ქართული ქანდაკება სწრაფად ვითარდება. საბჭოთა სტილის ძირითადად უსახურ, ბრტყელ სკულპტურებს ახლებური, სამგანზომილებიანი, ზოგჯერ აბსტრაქტული ქანდაკებები ანაცვლებს, რომლებიც ნახვისთანავე იპყრობს მნახველის ყურადღებას. ქართველი მოქანდაკეების ნამუშევრები უკვე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ უცხო ქვეყნების ქალაქებსა და კერძო კოლექციებს ამშვენებს.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაითქვეს სახელი ქართველმა მხატვრებაც: გია ეძგვერაძემ, მერაბ აბრამიშვილმა, კარლო კაჭარავამ, რუსუდან ფეტვიაშვილმა, ლევან სონღულაშვილმა... მათი ნამუშევრები სხვადასხვა გამოფენაზე მნახველის აღფრთოვანებას იმსახურებს და კრისტისა თუ სოტბის აუქციონებზე იყიდება.

„ქართველი ამორძალი“ ამერიკაში

ასე უწოდებენ მას ნიუ-იორკში, სადაც ეთერ ჭკადუა დასახლდა. ერთმა ნიუიორკელმა კრიტიკოსმა მას „ახალი ამაზონიის მსოფლიო ქალბატონი“ უწოდა. ეთერ ჭკადუას ნამუშევრების გამოფენები მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში იმართება.

ეთერ ჭკადუა,
„მყვინთავი“, დეტალი

ოცნება

ეთერ ჭკადუას მთავარი ოცნება საქართველოს უკავშირდება – საკუთარ სამშობლოში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის გახსნა.

– თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის აშენების იდეა მე არ მეკუთვნის, – ამბობს ის, – მაგრამ წარმომიდგენია, რა საოცარი სანახაობა იქნება, თუ ეს მუზეუმი აშენდება მცხეთაში თანამედროვეობის უდიდესი არქიტექტორის, რენცო პიანოს პროექტით. ასეთი შენობა ჩვენს უძველეს ქალაქში, პირველი ქრისტიანული არქიტექტურული ძეგლების – ჯვრისა და სვეტიცხოვლის ფონზე კომპოზიციურად ძალიან საინტერესო იქნება... წარმოდგენილი მაქვს, როგორ დაიწერება მსოფლიოს რეიტინგულ გამოცემებში სტატიები ამ შედევრზე, რომელიც უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყნის პატარა ქალაქ მცხეთაშია. იქვე მოიხსენიებენ ქართულ თანამედროვე ხელოვნებას, საქართველოს ისტორიას, ღვინოსა და მრავალხმიან სიმღერას, თანამედროვე ხელოვნების მსოფლიო რუკაზე გაჩნდება ქალაქი მცხეთა და უმალვე მოექცევა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში.

ეთერ ჭკადუას ეს ნახატი –
„სნაიპერი“ – 100 ათას დოლარად
გაიყიდა.

გამოღვიძება

ჯგუფმა „Soft Eject"-მა ახალგაზრდების სიყვარული მალევე მოიპოვა.

საქართველოში როკმუსიკას საბჭოთა კავშირის დროსაც ქმნიდნენ, თუმცა ხელოვნების სხვა სფეროებთან შედარებით მუსიკა ყოველთვის ყველაზე მეტად იზღუდებოდა. იმპერიის ნგრევის შემდეგ კი ცენზურის მარწუხებისაგან გათავისუფლებულ ბევრ ქართველ მუსიკოსს მიეცა საშუალება, ეპოქის თანადროულ მუსიკალურ ტენდენციებს აჰყოლოდა. 1990-იან წლებში უფრო და უფრო აქტიური გახდა ალტერნატიული მუსიკის სცენა. მუსიკოსთა მოწოდებები მნიშვნელოვან გზავნილებად იქცა ქართველი მსმენელისთვის, რამაც მოგვიანებით განაპირობა ისეთი ჯგუფების პოპულარობა, როგორებიც იყვნენ: „აუტსაიდერი", „Soft Eject", „საბავშვო მედიცინა", „Blues Mobile Band", „მძიმე ჯვარი", „ამორალი", „ქიშო და ინტელიგენცია", „Mother of Mondays" და სხვა.

სიმბოლური იყო ჯგუფ „პაპარაცის" ერთ-ერთი სიმღერაც 2004 წელს, რომლითაც ის თავის თანატოლებს მოუწოდებდა: „გათენდა, გაიღვიძე!"

იმ პერიოდში საქართველოში უკვე მართავდნენ სხვადასხვა ჟანრის მუსიკის კონცერტებს, რომლებიც 2000-იანი წლებიდან ისეთი ფესტივალების შექმნის წინაპირობად იქცა, როგორებიცაა: Tbilisi Open Air, Tbilisi Jazz Fest, GEM Fest და ა.შ. 2010-იანი წლებიდან კი საქართველოში ელექტრონული მუსიკის აღმასვლაც დაიწყო.

ბოლო წლებში არაერთმა ქართველმა მუსიკოსმა, ჯაზისა თუ კლასიკური მუსიკის შემსრულებელმა და მომღერალმა საზღვარგარეთაც გაითქვა სახელი.

მეფე

ალტერნატიული მუსიკის შემქმნელთა შორის ყველაზე პოპულარული ირაკლი ჩარკვიანი იყო, რომელმაც 1988 წელს მუსიკოს დადა დადიანთან ერთად ბენდ „ტაქსით“ გააცნო თავი საზოგადოებას. მოგვიანებით, 1993 წელს მან გამოუშვა ალბომი „**Svan-Songs**“, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკალური ჩანაწერია.

ჩარკვიანის მუსიკა ერთგვარ ტრენდად ჩამოყალიბდა და თავად ჩარკვიანი ახალგაზრდებისთვის კერპად იქცა. 2004 წლიდან ირაკლი ჩარკვიანმა თავი როკის „მეფედ“ გამოაცხადა. ის 2006 წელს გარდაიცვალა.

ირაკლი ჩარკვიანის ერთ-ერთი ცნობილი სიმღერაა „ცისფერპერანგა გოგო“. მისი პერსონაჟი, რომელსაც მომღერალი დაეძებს, აკაკი წერეთლის „სულიკოს“ გვაგონებს, სიმღერის ბოლო სტროფი კი წინასწარმეტყველურია, რომლითაც მომღერალი ქართველთა მომავალ თაობას მიმართავს:

„თქვენ იტყვით ყველაფერს,
რასაც ვერ მოვასწრებ რომ ვთქვა,
თქვენ იზამთ ყველაფერს,
რასაც ვერ მოვასწრებ რომ ვქნა,
და ჩემგან დარჩენილ,
დაფლეთილ ათას ტომს,
ბაუშვები ნახავენ, თუ ოდესმე
მოვიგებთ ომს!
ჩვენ მოვიგებთ ომს!
ჩვენ მოვიგებთ ომს!“

„შენ აფრენ“

უცნობია, ვის მიმართავდა ირაკლი ჩარკვიანი, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვები ნამდვილ მეამბოხეს ეკუთვნოდა, რომელიც არსებულ რეალობასა და გარშემო გამეფებულ პოლიტიკური ქაოსს ეწინააღმდეგებოდა. ეს იყო პროტესტი ქართული სინამდვილის მიმართ, რომლის შექმნაშიც ჩარკვიანი უფროს თაობას ადანაშაულებდა.

ირაკლი ჩარკვიანი და მისი მეგობრები — ირმა ლეჟავა (მხატვარი, მომღერალი), დავით მაჭავარიანი (მხატვარი, მუსიკოსი)

„იმას მოგახსენებდით, რომ ყოველ მწერალს უნდა ჰქონდეს თავისი ჰამლეტი, საშინაო რვეულში მაინც. ჰამლეტი ისე გაგყიდის, მოხედვასაც ვერ მოასწრებ. იმიტომ, რომ ჰამლეტზე როცა ფიქრობ, საკუთარ ფიქრებზეც ფიქრობ, ვინაიდან და რადგანაც, არ არის მეორე ასეთი კაცი, სხვათა გონების უსუსურობაში რომ ამგვარი გაქანებით ერკვეოდეს, ამგვარად სძულდეს სიმახინჯე და აგრე სწყუროდეს შურისძიება...“

აკა მორჩილაძე

„იმაზეც მიფიქრია, რომ შეიძლება სხვებისთვის თავისუფლების მიღწევას სულაც არ დასჭირვებია იმდენი თავგანწირვა, სისხლი თუ ცრემლი, რამდენიც ქართველებმა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საუკუნეების მანძილზე გაიღეს. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ სულ ვიბრძვით და მოვიპოვებთ, მაგრამ ყოველთვის ვკარგავთ და მერე თავიდან ვიწყებთ...“

დათო ტურაშვილი

ქართული მწერლობა

მწერლობას ოდითგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართული კულტურის ისტორიაში და იგი დღესაც აგრძელებს გავითარებას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული კულტურა გათავისუფლდა საბჭოთა ცენზურისაგან და მისი აღმასვლის ახალი ხანა დაიწყო – ქართული მწერლობა თანდათანობით მსოფლიო ლიტერატურის ნაწილად იქცა. თანამედროვე თუ წინა თაობის ქართველი მწერლების შემოქმედებით სხვადასხვა ქვეყანა დაინტერესდა და უცხო ენებზე არაერთი ქართული ნაწარმოები ითარგმნა. ორი დიდი მწერალი – ოთარ ჭილაძე და ბესიკ ხარანაული ნობელის პრემიაზე წარადგინეს ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ახალგაზრდა მწერლებმა, თამთა მელაშვილმა და ლაშა ბუღაძემ კი სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურული პრემიები დაიმსახურეს.

ევოლუცია

გარდა მწერალთა ძველი და ახალი თაობისა, კრიტიკოსები დღევანდელ მწერლობაში კიდევ ერთ – შუა თაობასაც გამოყოფენ, რომელიც 1985-1995 წლებში გამოვიდა ასპარეზზე და ყველაზე რევოლუციური იყო. ეს თაობა შეეცადა, ახალი პოეტური ფორმები შემოეღო და ახალი თემები შემოეტანა. მათ შორის გამოირჩეოდნენ ავანგარდული პოეტური დაჯგუფებები „ქრონოფაგები“ და „ვარდისფერი ავტობუსი“.

თამთა მელაშვილი და მისი წიგნის მთარგმნელი ნათია მიქელაძე ფრანკფურტში გერმანიის ახალგაზრდული ლიტერატურის პრემიის დაჯილდოებაზე პრიზებით ხელში

იკითხეთ წიგნი

წიგნი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. დღესაც ასეა. ყოველწლიურად გამოიცემა 2000-მდე ნათარგმნი თუ ქართული წიგნი, რომელთა შეძენა მკითხველს წიგნის სხვადასხვა მაღაზიასა თუ სუპერმარკეტში შეუძლია. ხშირად იმართება ახალგამოცემული წიგნების პრეზენტაციები და ფესტივალები, ლიტერატურული საღამოები და შეხვედრები, სადაც ლიტერატურის ბევრი მოყვარული იყრის თავს.

წიგნის პოპულარიზაციას გამომცემლობებთან ერთად ქართველი მწერლებიცა და სხვა საზოგადო მოღვაწეებიც ცდილობენ. რადიო- თუ ტელეგადაცემისა და ინტერნეტბლოგების საშუალებით ისინი მკითხველს ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებსა და ახალ გამოცემებს აცნობენ და მოუწოდებენ, წიგნი სიამოვნების მიღებისა და დასვენების მთავარ საშუალებად აქციონ.

ლიტერატურული პრემია „საბა“

2003 წელს საქართველოში დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა,“ რომელიც რამდენიმე ნომინაციაში გასცემს ფულად პრემიას და გამარჯვებულს ამ კონკურსის სიმბოლოთი – ვერცხლის ფრთითაც აჯილდოებს. ყველაზე მეტი „საბა“ (ხუთი ჯილდო) აღებული აქვს მწერალ აკა მორჩილაძეს საუკეთესო რომანის ნომინაციაში.

აკა მორჩილაძე

დათო ტურაშვილი

ბესიკ ხარანაული

ერთხელ ამერიკაში

ფრანგი მსახიობი პიერ რიშარი ფილმში „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“

ქართველი რეჟისორი ნანა ჯორჯაძე 90-იან წლებში წავიდა საზღვარგარეთ და მის იქ გადაღებულ ფილმებს არაერთი წარმატება და ჯილდო ხვდა წილად. მაგალითად, ასეთია „ატლანტი“, რომელმაც საერთაშორისო ფესტივალებზე სამი მთავარი პრიზი მიიღო.

ჯორჯაძის კიდევ ერთი ფილმი „მოგზაურობა სოპოტში“ საბჭოთა დროშია გადაღებული და ეკრანზე გამოსვლა არ ეღირსა. ბოლოს იგი ერთმა გერმანელმა კინომცოდნემ საბჭოთა კავშირის საზღვარზე ჩუმად გადაიტანა. ფილმი ობენჰაუზის ფესტივალზე აჩვენეს და 7 გრანპრი აიღო.

1996 წელს, როცა საქართველოში ჯერ კიდევ მძიმე ხანა იდგა, ნანა ჯორჯაძის ფილმი „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ ოსკარის ნომინანტებს შორის მოხვდა.

ქართული კინოს ახალი ტალღა

2000-იანი წლების შუა ხანიდან ისევ დაიწყო ქართული კინოს აღმავლობა. რეჟისორების – ლევან კოღუაშვილის, ნანა ექვთიმიშვილის, გიორგი ოვაშვილის, ზაზა ურუშაძისა და სხვების ფილმები ევროპის არაერთ კინოფესტივალსა და კინოთეატრში უჩვენეს მაყურებელს. „გაღმა ნაპირი“, „შემთხვევითი პაემნები“, „გრძელი ნათელი დღეები“, „გაიღიმეთ“, „მანდარინები“ პოპულარული გახდა როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც. პარალელურად ახალი ტალღა იწყება ქართულ სოციალურ კინოშიც, რომლის ნამდვილი გვირგვინია ნუცა ალექსიმესხიშვილის ფილმი „კრედიტის ლიმიტი“. ევროპელი კინოკრიტიკოსები დადებითად აფასებენ ახალი ქართული კინოს ტენდენციებს და მას კიდევ უფრო დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ.

კადრი ფილმიდან „მანდარინები“

თბილისის საერთაშორისო

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი 2000 წელს დაფუძნდა. მისი მთავარი მიზანია, ქართველ მაყურებელს ახალგაზრდა ევროპელი კინორეჟისორების ნამუშევრები აჩვენოს. გამარჯვებულ ფილმებს ჟიური გამოავლენს და გადასცემს პრიზებს: „ოქროს პრომეთეს“ საუკეთესო ფილმისათვის და „ვერცხლის პრომეთეს“ საუკეთესო რეჟისურისათვის.

უცხოური ფილმების ჩვენებისა და გამოცდილების გაზიარების გარდა, ფესტივალის ორგანიზატორების მიზანი ქართული კინოპროდუქციის პოპულარიზაციაცაა. სწორედ ამ მიზნით, 2011 წელს საქართველოს ბანკმა დააწესა პრიზი საუკეთესო ქართული ფილმისათვის. იმ წელს ეს პრიზი დაიმსახურა რეჟისორ ნანა ჯანელიძის ფილმმა „ნეტავი იქ თეატრი არის?“.

არსებობის მანძილზე თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალმა ხუთასამდე რეჟისორს, მსახიობსა თუ კინომცოდნეს უმასპინძლა. მათ შორის იყვნენ საქვეყნოდ ცნობილნიც: ბობ რაფელსონი, ფრანკო ნერო, ქართული წარმოშობის კინოვარსკვლავი მარიამ დაბო და სხვანი. კინოფესტივალზე ჩამოდიოდნენ აგრეთვე საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი რეჟისორებიც: ოთარ იოსელიანი, ნანა ჯორჯაძე, დიტო ცინცაძე და სხვები.

კადრი ფილმიდან
„ნეტავი იქ თეატრი არის?“

დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები

ოქროსმედალოსანმა **დავით გობეჯიშვილმა** 1992 წელს თავისუფალ ჭიდაობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

წინა ოლიმპიადებზე ოქროსმედალოსანმა **ლერი ხაბელოვმა** თავისუფალ ჭიდაობაში 1992 წელს ვერცხლის მედალი მოიპოვა.

გიორგი ასანიძე 2004 წელს ოქროსმედალოსანი გახდა ძალოსნობაში.

ზურაბ ზვიადაურმა 2004 წელს ათენის ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედალი მოიპოვა და პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

რევაზ მინდორაშვილმა 2008 წლის პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა თავისუფალ ჭიდობაში.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **მანუჩარ კვირკველიამ** 2008 წლის 13 აგვისტოს პეკინის ოლიმპიადაზე პირველი ოლიმპიური ოქრო მოუტანა ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზეც რუსეთის ჯარი იყო შემოჭრილი.

ოლიმპიური ოქროს და ვერცხლის მედლების მფლობელმა **ნინო სალუქვაძემ** 2008 წლის პეკინის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ირაკლი ცირეკიძემ ძიუდოისტთა შორის პეკინის 2008 წლის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ძიუდოისტი **ლაშა შავდათუაშვილი** 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროსმედალოსანი გახდა.

ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** ვერცხლისმედალოსანი გახდა 2012 წლის ოლიმპიადაზე, 2016 წლის ოლიმპიური თამაშებზე კი ოქროს მედალი მოიპოვა.

„ბორჯღალოსნები“

ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი მოჭიდავეები თუ ძიუდოისტები მაშინაც ახერხებდნენ მსოფლიოსა თუ ოლიმპიური ჩემპიონის სტატუსის მოპოვებას, როდესაც ქვეყანას უჭირდა.

რაც შეეხება სპორტის სხვა სახეობებს, ამ ძნელ წლებში ყველაზე დიდი თავდადება ქართველმა მორაგბეებმა გამოიჩინეს და ყველაზე მეტი წარმატებაც მათ ხვდა წილად – დღეს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებთა პირველ ოცეულშია.

რეიტინგის მიხედვით, 2003 წელს „ბორჯღალოსნები“ მსოფლიოს ნაკრებთა შორის მე-19 ადგილზე იყვნენ; 2007 წელს მათ მე-16 ადგილზე გადმოინაცვლეს; შემდეგ იყო მე-14 ადგილი, ხოლო ბოლო მონაცემებით კი ისინი მე-11 ადგილზე არიან.

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 2003 წლიდან რეგულარულად მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ხოლო ქართველი მორაგბეები წარმატებით ასპარეზობენ ევროპის წამყვან საკლუბო ჩემპიონატებში.

ქართველ მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს „ბორჯღალოსნები“ ჰქვია და მისი სიმბოლოც ბორჯღალია.

ბორჯღალი საქართველოში უძველესი დროიდან მზისა და ბორბლის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. მას აქტიურად იყენებდნენ ძველი სახლების, კერების და დარბაზების მოსაჩუქურთმებლად და აივნის რიკულების, კარიბჭეების, შრომისა თუ საბრძოლო იარაღის დასამშვენებლად. ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურაში დედაბოძსაც ბორჯღალის ორნამენტით ამკობდნენ.

პოლ გოგენი
„საიდან მოვედით? ვინ ვართ? სად მივდივართ?“

საიდან? ვინ? საით?

წარსულ საუკუნეებში ამდენი მოგზაურობის შემდეგ საქართველოს დღევანდელ დღემდე მოვედით. დიდი და რთული გზა გაგვივლია. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ადამიანები სულს მოითქვამენ და მომავალზე დაფიქრდებიან ხოლმე. ჩვენც ასე მოვიქცეთ.

გენიალურმა ფრანგმა მხატვარმა პოლ გოგენმა შექმნა ფერწერული ტილო, რომელიც კაცობრიობისათვის ყველაზე მწვავე კითხვებით დაასათაურა: „საიდან მოვედით? ვინ ვართ? სად მივდივართ?“

საიდან მოვედით?

წარსულიდან, ისტორიიდან, წინა თაობების რეალობიდან და გამოცდილებიდან.

მარტივი პასუხები

საკითხი რომ არ გავართულოთ, ამ კითხვებს მარტივად და ამ წიგნის მიხედვით ვუპასუხოთ. კითხვები გეხებათ თქვენ, მოზარდებს, ვისთვისაც ამ წიგნთა კრებული დაიწერა:

სად ვართ?

თანამედროვე დამოუკიდებელ საქართველოში, რომელიც მსოფლიო ხალხთა და სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრია.

სად მივდივართ და რა გვინდა?

ამ კითხვაზე ყველაზე მეტად თქვენი – მოზარდების აზრია საინტერესო. მოდი, რამდენიმე მათგანის პასუხი მოვისმინოთ:

ნუცა მდივანი, 13 წლის

მიყვარს ხატვა და მოთხრობების წერა. ძალიან კარგად ვსწავლობ. ვფიქრობ, რომ განსხვავებული ვარ ჩვეულებრივი გოგონა თინეიჯერებისგან. არ მიზიდავს მოდა და არ ვატარებ დროს სარკესთან ბუკვაში ან მაკიაჟის სახეზე წასმაში. მინ ყოფნა მიყვარს. სკოლაში ყოფნას ჯობია. სახლში უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს.

ვფიქრობ, უკეთესია, ისეთი ადამიანი იყო, როგორიც შენ ხარ, და არა ისეთი, როგორიც სხვას სურს, რომ იყო. სჯობს, სხვისი კრიტიკის გამო არ შეიცვალო და არ მოიქცე შენი სურვილის შეუსაბამოდ.

რაც შეეხება ჩემს ქვეყანას, ჩემი საშშობლო საქართველოა. მას არაფერი უფარს, ვითარდება ნელ-ნელა. თუმცა, უფრო მეტ ადამიანს რომ შეეძლოს უფრო ქვეყნეში მოგზაურობა, ბევრ რამეს გაიგებდა იქაურ კულტურასა და საზოგადოებაზე. ამით შეიძლება ჩვენი ქვეყანა უკეთ განვითარდეს.

ნიკა მდივანი 13 წლის

მე იცით რა მანუხებს ყველაზე მეტად? საქართველოში ძალიან ბევრი პრობლემაა ბუნების დაცვასთან დაკავშირებით: ჰაერი დაბინძურებულია, მდინარეების უმეტესობა ნაგვითაა საცსე, უამრავი გამონაბოლქვი გამოიყოფა მანქანებიდან. ამისათვის საჭიროა რამდენიმე ცვლილება. მაგალითად, მანქანების რაოდენობა შეამცირონ, ან შემოიღონ ლენზე მომუშავეები. ასევე ავტომობილების მაგივრად ველოსიპედით მგზავრობა უფრო ჯარგი იქნებოდა ჯანმრთელობისთვისაც და გარემოსთვისაც.

ლუკა ლომიძე, 14 წლის

დღევანდელი სახოგადოება გასული საუკუნის სახოგადოებისაგან განსხვავებით ძალიან შეცვლილია. იმდენად აღარ გაკრიტიკებენ, თუკი განსხვავებულად გაცვია, განსხვავებული გემოვნება გაქვს და ა.შ. წინა საუკუნეში კი დაგცინებდნენ, არ მიგიღებდნენ და ეს ყველაფერი შეიძლება ხელჩართულ ბრძოლაში გადახრდილიყო. XXI საუკუნეში სახოგადოებამ ტრანსფორმაცია განიცადა. ახლა მას უკვე შეუძლია, მიიღოს განსხვავებული ადამიანი. მგონია, რომ ამ მხრივ ქვეყანა კიდევ უფრო განვითარდება და დაიხვეწება და საბოლოოდ მივიღებთ უნაკლო და სრულყოფილ სახოგადოებას.

ნიცა ჭაბაშვილი 13 წლის

რამდენიმე საუკუნით წინ რომ დავბრუნდეთ და საქართველოს ისტორია გადავათვალიეროთ, გზად შემოგვხვდებიან უჭკვიანესი და ნიჭიერი ადამიანები, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა არაერთხელ ასახელეს. დღეს კი საქართველოს ბევრი პრობლემა აქვს, მისი მთავარი მტერი ხალხია, რომელიც თანამედროვე დროის შესაბამისად საერთოდ არ იქცევა. გამიგია უამრავი რასისტი და ჰომოფობი ადამიანის შესახებ, რომლებიც სხვებს ჩაგრავენ, დასცინიან, ამცირებენ. ასევე ბევრი გაუნათლებელი ადამიანიც ცხოვრობს, რაც ძალიან ცუდია. ეს ჩვენს ქვეყანას რამოარჩენს. მაგალითად, ამის მიზეზია, რომ ჩვენ არ აღვნიშნავთ ჰელოუინს, რაც ძალიან არ მომწონს.

ნესტან რატიანი, 15 წლის

დღეს ჩემს თაობაში არის ჯგუფები, რომლებიც ქმნიან სტანდარტებს და როცა ამ სტანდარტს ვერ ვიტანთ მაინც არღვევ. მათთვის მიუღებელი ხდები. სტანდარტში ვგულისხმობ აზრს რაიმეს თაობაზე. მე მიყვარს საკუთარი აზრის გამოხატვა და ეს აზრი ძირითადად არ ემთხვევა ჭარბულ მენტალიტეტს. მე ვერ გამაჩერებენ, მაგრამ სხვა თინეიჯერებს ართმევენ საკუთარი აზრის თქმის უფლებას. და ყველაზე დიდი უბედურება ის კი არაა, რომ ისინი ვერ ამბობენ, რასაც ფიქრობენ, არამედ ის, რომ მათ აზრი საერთოდ აღარ გააჩნიათ. მინდა, მოდაში შემოვიდეს განათლებულობა და აზრის ქონა, და მოისპოს ეს უგუნურება.

ახალი თაობა

დღევანდელი მოზარდი თაობა განსხვავდება მშობლების თაობისაგან. წინა თაობას უფრო ქვეყნის დამოუკიდებლობის პრობლემა აწუხებდა, შედარებით ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა დანარჩენ მსოფლიოზე და კარჩაკეტილად ცხოვრობდა. დღევანდელი თაობა კი, რომლის რამდენიმე წარმომადგენლის მოსაზრებებსაც ზემოთ გავეცანით, უფრო დამოუკიდებელია, პიროვნული თავისუფლებისაკენ ილტვის და უფრო ტოლერანტულადაა განწყობილი განსხვებულების მიმართ.

მოსწავლე სკოლის ლაბორატორიაში ქიმიის გაკვეთილზე ცდას ატარებს.

წინ მომავლისკენ!

თქვენ, ამ წიგნის პირდაპირი ადრესატები, ახალი ათასწლეულის ზღურბლზე, 2000 წლის შემდეგ თავისუფალ საქართველოში დაიბადეთ. დღეს უახლესი ტექნოლოგიების წყალობით დაირღვა საზღვრები სახელმწიფოებს შორის, გაჩნდა ახალი ხედვა, სწავლის, შრომისა და თვითგამოხატვის ისეთი საშუალებები, რომლებიც წინა თაობებს არ ჰქონდათ.

ამიტომ თქვენ, ახალ თაობას, გაქვთ ამოუწურავი შესაძლებლობა ისწავლოთ, იშრომოთ და მოემზადოთ ხვალინდელი საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხოდ.

ლექსიკონი

ავანტიურა – შემთხვევითი წარმატებისა და გამართლების იმედით წამოწყებული საქმე, მოქმედება

ალიანსი – სახელმწიფოთა გაერთიანება საერთო მიზნების მისაღწევად

დემოკრატია – სახელმწიფოს მართვის ფორმა, როდესაც მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით.

ექსტრემისტი – ექსტრემიზმის მომხრე. ექსტრემიზმი კი უკიდურესი შეხედულებების და ზომების ერთგულებას ნიშნავს. ამ ზომებს შორის შეიძლება იყოს არეულობა, ტერორისტული აქტები და ა.შ.

ინვესტიცია – ეკონომიკურ საქმიანობაში დიდი რაოდენობის ფულის ჩადება მოგების მიზნით.

კაპიტალიზმი – საზოგადოებრივი წყობილება, რომელშიც წარმოების საშუალებანი ეკუთვნით კერძო პირებს, ე.წ. კაპიტალისტებს. ისინი მოგებას იღებენ დაქირავებული მუშების შრომით. ასეთ სახელმწიფოში მთავარი როლი ორ ძირითად სოციალურ ჯგუფს ენიჭება, ესენია: წარმოების საშუალებათა მფლობელები და დაქირავებული მუშაკები.

ლიბერალიზმი – პოლიტიკური შეხედულება, რომლისთვისა ყველაფერზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებები და თავისუფლება, მმართველობის დემოკრატიული ფორმა და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინსტიტუტების თანმიმდევრული რეფორმები.

პრივატიზება – საკუთრების სახალხო საკუთრებიდან კერძო მფლობელობაში გადატანა

რასისტი – რასიზმის მიმდევარი. რასიზმი კი თეორიაა, რომლის მიხედვით, არსებობს მაღალგანვითარებული და მასზე დაბლა მდგომი, „არასრულფასოვანი" რასები და განვითარებულ რასას უფლება აქვს, სხვა რასებზე იბატონოს. ეს, რასაკვირველია, მცდარი და არასამართლიანი შეხედულებაა.

სამიტი – სახელმწიფოს მთავრობის მეთაურთა შეხვედრა, მოლაპარაკება

სეპარატისტი – სეპარატიზმის მომხრე. სეპარატიზმი კი ქვეყნის ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები მცირერიცხოვანი ერის, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობის მცდელობაა, მიაღწიოს ამ სახელმწიფოს ფარგლებში მაქსიმალურ დამოუკიდებლობას.

სუვერენული – დამოუკიდებელი

ტოლერანტობა – სხვისი აზრების, რწმენის, ქცევის შემწყნარებლობა

ფედერაცია – ახალი გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის მიზნით რამდენიმე სახელმწიფოს კავშირი, რომლის დროსაც მასში შემავალი სახელმწიფოები ინარჩუნებენ თავიანთი უფლებების მხოლოდ ნაწილს.

საძიებელი

ა
აბრეშუმის გზა 17
აგვისტოს ომი 34, 35
ადამიანის უფლებები 46
ამერიკის შეერთებული შტატები 7, 18, 24, 30, 33, 46, 52, 54
ანტიკორუფციული გეგმა 27
არჩევნები 20, 21, 40, 41
აფხაზეთის ომი 11
აჩქარების სტრატეგია 22, 23

ბ, გ
ბათუმი 24
ბაქო-სუფსის ნავთობსადენი 17
ბენდუქიძე კახა 24
„ბორჯღალოსნები" 57
გაერო 46
გამსახურდია ზვიად 6, 7, 8, 9, 43

დ, ე, ვ
დაბომბვა 34
დემოკრატია 40, 41, 42
დიპლომანია 28
დსთ 8, 11
ევროკავშირი 33, 44, 45
ევროპის ლიდერები თბილისში 35
ევროსაბჭო 18
ეკლესია 38
ეკონომიკის განვითარება 22, 24, 25
ერთიანი ეროვნული გამოცდები 29
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 20, 21, 43
ეროვნული გვარდია 7, 8, 13

ვ, თ, ი
ვარდების რევოლუცია 21, 30, 32

ეიზალიბერალიზაცია 45
თავისუფალი სავაჭრო სივრცე 45
თბილისის ომი 8, 9
იოსელიანი ჯაბა 9, 12, 13

კ, ლ
კათალიკოს-პატრიარქი ილია II 38
კანონიერი ქურდები 30, 31
კიტოვანი თენგიზ 7, 9, 12, 13
კონსტიტუციის მიღება 16
კორუფცია 26, 27
კრემლი 34
კრიმინალი 30, 31
კუპონი 15
ლიტერატურული კონკურსი „საბა" 53
ლიტერატურული პრემიები 52
ლომაია ალექსანდრე 39
ლტოლვილები 12

მ, ნ
მართლმადიდებლობა, ქრისტიანობა 38, 47
მასმედია 42, 43
მეხუთე კოლონა 7
მიგრაცია 37
მიტინგი 20, 21
მოსახლეობა 36, 37
მსოფლიო ბანკი 16
მხედრიონი 12
მწერლები 52, 53
ნატო (NATO) 18, 32, 33
ნულოვანი ტოლერანტობა 30

ო, პ, ჟ
ოკუპაცია 35
ოლიმპიური ჩემპიონები 56
ოსკარის დაჯილდოება 54
პატრული 26
პოეტთა ახალი თაობა 52
ჟვანია ზურაბ 18

რ, ს
რაგბი 57
რელიგიები საქართველოში 39
რეფორმები 22, 26, 27, 29
როკის „მეფე" 52
როკმომღერლები 40
რუსეთი 7, 8, 11, 14, 15, 17, 19, 31, 33, 34, 35
რუსი ჯარისკაცები 11, 19, 34, 35
სააკაშვილი მიხეილ 20, 21, 22, 24, 27, 30, 33, 34, 35
საბჭოთა კავშირის დაშლა 8
სამხედრო საბჭო 9, 10, 12
სამხრეთ ოსეთი 11, 34, 35
სარკოზი ნიკოლა 35
„სნაიპერი", ნახატი 49
სოლიდარობის აქცია თბილისში 35
სპორტსმენები 56

ტ, ფ, ქ
ტელეანძა 9, 42
ტელეეთერი 42
ფესტივალები 50
ქართული კინო 54, 55
ქართული ოცნება 43
ქართული ცეკვა და სიმღერა 47

უ, შ, ჩ, ც
უმაღლესი სასწავლებლები 28
უმუშევრობა 15, 23
ურუშაძე ზაზა 54
შევარდნაძე ედუარდ 11, 12, 13, 16, 18, 19, 26, 43
ჩარკეიანი ირაკლი 49
ცხინვალი 34, 35

ძ, ჯ
ჭკადუა ეთერ 52, 53
ჯანელიძე ნანა 55
ჯორჯაძე ნანა 54

საავტორო უფლებები

გამომცემლობა მადლობას უხდის საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქართველოს ეროვნულ არქივს, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს; ასევე ფოტოგრაფებს, ილუსტრატორებს, მხატვრებსა და სააავტორო უფლების სხვა მფლობელებს წიგნის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის.

შემოკლებები: ზ – ზედა, ქ – ქვედა, შ – შუაში, ფ – ფონად
არქ. – საქართველოს ეროვნული არქივი, ერ. ბიბლ – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ერ.მუზ – საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ლიტ.მუზ. – ლიტერატურის მუზეუმი, ოლიმპ. კომიტეტი – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ხელნან. – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელ.სასახლე – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ხელოვნების სასახლე

ყველა ნახატი ილუსტრაცია © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ყველა რუკა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა (საქართველოს რუკები დამზადებულია საქართველოს ისტორიის ატლასის (2003 წ) მიხედვით)

2008 წლის ბუქარესტის სამიტისა და თბილისში გამართული სოლიდარობის აქციის ფოტოები მოგვანოდა ერთიანი ნატოონალური მოძრაობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.

გვ.1 © არქ., გვ. 2-3 © გ. ჩანადირი, გვ.6, 7 © არქ., გვ.8, 9 © არქ., გვ.10, 11 © არქ., გვ.12 © ერ. ბიბლ., გვ.13 © არქ.,გვ.14 © არქ., გვ.15 © გ. ქართველიშვილი, გვ.16 ქ © არქ., გვ.18 ზ, ფ © არქ., ქ © ერ. ბიბლ., გვ.19 © არქ., გვ.20, 21 © გ. ჩანადირი, გვ. 22, 23 © გ. ჩანადირი, გვ.24, 25 © გ. ჩანადირი, გვ.26 © გ. ჩანადირი, გვ.28 © თავისუფ. უნივერსიტეტი, გვ.29 ზ © გ. ჩანადირი, ქ © ლ. ლომსაძე, გვ.34 © გ. აბდალაძე, გვ. 36-37 © გ. ჩანადირი, გე.38 ზ © გ. მაღრაძე, ფ © გ. ჩანადირი, გვ.39 ზ © გ. ჩანადირი, გვ.40 © გ. ჩანადირი, გვ.41 © გ. აბდალაძე გვ.42 © გ. ჩანადირი, გე.46 © არქ., გვ.47 © გ. ჩანადირი, გვ.48 © გ. ჩანადირი, გვ.49 © ე. ჭკადუა, გვ.50 © Soft Ejecl, გვ.51 © გ. ნიბახაშვილი, გვ.52 © თ. მელაშვილი, გვ.53 ქ (ვერცხლის ფრთა, ბ.ხარანაული) © „საბა“, გვ.54 ზ © არქ., ქ © ზ. ურუშაძე, გვ. 55 © ნ. ჯანელიძე, გვ.56 ზ, შ © ოლიმპ. კომიტეტი, ქ © თ. კულუმბეგაშვილი, გვ.57 © გ. ჩანადირი, გვ.60-61 © ე. ტაბლიაშვილი

ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ზოგიერთი ფოტოს საავტორო უფლების მფლობელის ვინაობის დადგენა ან მასთან დაკავშირება. გამოხმაურების შემთხვევაში „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ მზადაა, დაიცვას მათი საავტორო უფლებები.

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა